„საერთაშორისო
გამჭვირვალობა-საქართველოს"

წლიური ანგარიში - 2025

25 წელი

ხალხის სამსახურში!

სარჩევი

25 წელი ხალხის სამსახურში	2
აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის მიმართვა	5
აქტიურობა საგარეო მიმართულებით	10
კორუფციის აღიარების წელი: სიმართლე, რომელიც ვეღარ დამალეს	14
უკუსვლის და რეპრესიების წელი: მართლმსაჯულება, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებები	23
მოგებული საქმეები - 2025	39
აქტიურობა რეგიონებში	43
მედიაგარემო: კრიტიკული მედიის დევნის წელი	51
პოლიტიკური კორუფცია, საარჩევნო საკითხები	58
ერთპარტიული პარლამენტი	64
პიარ აქტივობები	72
სტაჟირება ჩვენთან - ახალგაზრდების კარიერული სტარტი	82
კორუფციის აღქმის ინდექსი - 2025	91
ფინანსური მონაცემები	93
აუდიტის დასკვნა	96

25 წელი ხალხის სამსახურში



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 2025 წელს 25 წელი შეუსრულდა. ფუნქციონირების მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ქვეყანაში სამი ხელისუფლება შეიცვალა - ორგანიზაცია მთელი ამ დროის განმავლობაში თავისი პრინციპების ერთგული დარჩა.

ჩვენ საქმით დავამტკიცეთ, რომ მთავრობები იცვლებიან, მაგრამ ჩვენი ბრძოლა სამართლიანობისთვის უცვლელი რჩება!

2025 წელი, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მძიმე და გამოწვევებით სავსე იყო ორგანიზაციისთვის, რადგან კულმინაციას მიაღწია ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენს წინააღმდეგ მიმდინარე ინტენსიურმა ბრძოლამ, როცა მთელი სახელმწიფო მანქანა მომართული იყო ჩვენი გაჩუმებისკენ, რათა აღარ გვემხილა კორუმპირებული ჩინოვნიკები ბიუჯეტის ქურდობაში, აღარ დავდგომოდით გვერდით სახელმწიფოსგან დაჩაგრულ მოქალაქეებს, შევგუებოდით რუსული სტილის მმართველობის დამკვირდებას ჩვენს ქვეყანაში და აღარ გაგვეპროტესტებინა უსამართლობა.

მაგრამ ეს მიზანი მიუღწეველი დარჩა, უამრავი რეპრესიული მექანიზმის მიღების და გამოყენების მიუხედავად. წლის დასაწყისში თუ თბილისის ცენტრალურ ოფისთან ერთად, ჩვენი ორგანიზაცია რეგიონული ოფისებით იყო წარმოდგენილი ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ახალციხეში, წლის ბოლოს იძლებული გავხდით ეს ოფისები ფიზიკურად დაგვეხურა.

მაგრამ ორგანიზაცია მხოლოდ ოფისები არაა, ეს უპირველესად, გულანთებული ადამიანების ერთობაა, რომელიც არაფერს უშინდება და სჯერა იმ საქმის, რასაც ემსახურება ქვეყნის სასიკეთოდ.

უამრავი ზეწოლის და რისკის მიუხედავად, თანამშრომელთა უმრავლესობას ერთი წამითაც არ შეუჩერებია საქმიანობა. ბრძოლისუნარიანობა გაათმაგდა, რადგან თითოეულ ჩვენგანს გულით სჯერა, რომ მართალ საქმეს ვემსახურებით დემოკრატიის გადასარჩენად და ევროპულ ოჯახში ჩვენი სამშობლოს სამშვიდობოს გასაყვანად.

წლის ბოლოსთვის დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა 36-ს შეადგენდა. გენდერული ბალანსი კი იყო - 19 ქალი/17 კაცი.

ჩვენ „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გლობალური მოძრაობის წევრები ვართ 100-ზე მეტ დამოუკიდებელ ეროვნულ ბიუროსთან ერთად, რომელთაც ბერლინის საერთაშორისო სამდივნო უწევს კოორდინაციას.


„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მისია ანტიკორუფციული პოლიტიკის ხელშეწყობა, ასევე სამართლიანი საარჩევნო გარემოს, მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღების, საკანონმდებლო პროცესის ზედამხედველობის, თავისუფალი და პლურალისტური მედიის ხელშეწყობაა. ჩვენი მიზანია ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური კურსის ურყევობის მხარდაჭერა.

ვეხმარებით სახელმწიფოსგან დაჩაგრულ მოქალაქეებს, რათა ჩვენი უანგარო ჩართულობით დაიცვან საკუთარი უფლებები, ასევე ხელს ვუწყობთ მოქალაქეთა აქტიურობას, რათა ხელისუფლება ანგარიშვალდებულებას გრძნობდეს მათ მიმართ.



ჩვენი საქმიანობა წლებმა გამოსცადა!

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გუნდი 2025 წელს



აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის მიმართვა



მოგესალმებით,

„საეთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ არსებობის 25-წლიანი ისტორიის განმავლობაში, 2025 წელი იყო ყველაზე მძიმე, ყველაზე დაძაბული და ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცდა ჩვენი ორგანიზაციისა და მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებისათვის.

ეს არის პირველი შემთხვევა ამ წლების განმავლობაში, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება აღმოჩნდა უპრეცედენტო, სისტემური და კოორდინირებული დევნის ქვეშ. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მცდელობა, ჰეპრესიული კანონებით, დაუსაბუთებელი გამოძიებებით, ფინანსური ზეწოლითა და დისკრედიტაციის კამპანიებით ჩაეხშოთ კრიტიკული ხმა საქართველოში. „საეთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსაც“, ისევე როგორც ბევრ სხვა ორგანიზაციას, მოუწია ქვეყნის მასშტაბით 5 ოფისის დახურვა. ორგანიზაციის არსებობის 25-წლიანი პერიოდის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მთავრობის მიერ შექმნილი მტრული გარემოს გამო, ორგანიზაცია ჩვეული ფორმით საქმიანობას ვერ აგრძელებს.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მთავარი ფაქტი უცვლელია – ჩვენ არ გავჩერებულვართ!

„საეთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ყოველთვის იდგა ადამიანებზე და 2025 წელს ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა. ჩვენი გუნდის არცერთი წევრი არ გატყდა. მიუხედავად მუდმივი ზეწოლისა, დაკითხვებისა, უსაფრთხოების რისკებისა და პირადი საფრთხისა, ჩვენმა თანამშრომლებმა გააგრძელეს მუშაობა იმავე პრინციპულობითა და სიმტკიცით, რაც ამ ორგანიზაციას 25 წლის განმავლობაში ჰქონდა. მთელი წლის განმავლობაში კვლავაც ვიძიებდით კორუფციას, ვიცავდით ადამიანების უფლებებს, ვიდექით მოქალაქეების გვერდით სასამართლოებში და ხმამაღლა ვაპროტესტებდით უსამართლობას.





2025 წლის განმავლობაში:

• გამოვაქვეყნეთ 120 პუბლიკაცია;

• გამოვავლინეთ კორუფციისა და უკანონო გამდიდრების 145 საეჭვო ფაქტი;

• იურიდიული დახმარება გავუწიეთ 3,219 მოქალაქეს;

• სასამართლოში დავიცავით 195 აქტივისტის, 20 ჟურნალისტისა და 46 საჯარო მოხელის უფლებები;

• მოვიგეთ 38 სასამართლო დავა, რის შედეგადაც მოქალაქეები მიიღებენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპენსაციებს და დაუბრუნდებათ საკუთრება;

• სტრასბურგის სასამართლოში წარვადგინეთ 8 საჩივარი აქტივისტებისა და ჟურნალისტების დასაცავად და რეპრესიული კანონების გასაპროტესტებლად.



2025 წელს ყველაზე დიდი ძაღისხმევა პოლიტიკური პატიმრების საქმეების შესწავლას მოვახმახეთ. შევისწავლეთ ყველა საქმე, ყველა დოკუმენტი და მტკიცებულება. ამ ანაღიზის შედეგად აშკახაა, ხომ 120-ზე მეტი პოლიტპატიმახი ისჯება ქვეყნის სიყვახულისთვის. მათი გაუტეხღობა და სამშობღოს სიყვახული ყველა ჩვენგანისთვის მაგაღითია. ვაძღევ პიხობას, ხომ მათ აუციღებღად დავიხსნით




2025 წეღი განსაკუთხებით პხობღემუხი იყო მეღიისთვის. ჟუხნაღისტებს კვღავაც ფიზიკუხად უსწოხღებოდნენ და სამახთღებხივი სისტემის გამოყენებით სჯიდნენ, იმისთვის, ხომ ჩვენს მოქაღაქეებს შეუზღუდონ კხიტიკუღ ინფოხმაციაზე წვდომა. ჩვენ ვიცავდით მეღიას და ცაღკეუღ ჟუხნაღისტებს მმახთვეღი პახტიის სადამსჯეღო პოლიტიკისგან.



მომავალზე ვიტყოდი, რომ გვესმის – თავისუფლებისთვის და დემოკრატიისთვის ბრძოლა არ არის მარტივი. ასევე გვესმის, რომ დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ამ ბრძოლაში არავინ უნდა დარჩეს მარტო. სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევები გვაიძულებს, ვიფიქროთ ახალ გზებზე – როგორ გავაძლიეროთ ერთმანეთის მხარდაჭერა, როგორ შევინარჩუნოთ აქტივიზმი და როგორ გავაგრძელოთ ბრძოლა იმ პირობებშიც კი, როდესაც ტრადიციული მუშაობის ფორმები იზღუდება. აქტივისტური მუშაობა დღეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე. უნდა დავდგეთ ერთად, გავერთიანდეთ და გავაძლიეროთ ერთმანეთი. მხოლოდ სოლიდარობითა და ერთიანობით შევძლებთ, დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები, შევინარჩუნოთ დემოკრატია და ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას.

ამ მძიმე წლის მიუხედავად, ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ არ შეეგუება უსამართლობას და არ დათმობს თავისუფლებას. ეს არის ჩვენი მთავარი ძალა და იმედი.



უკვე მეოთხედი საუკუნეა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ემსახურება ამ ქვეყანას. მთავრობები იცვლება, გარემო იცვლება, მაგრამ ჩვენი ბრძოლა სამართლიანობისთვის უცვლელია!

მადლობა თითოეულ ჩვენს თანამშრომელს, პარტნიორსა და მხარდამჭერს – თქვენი სიმტკიცე და ერთგულება არის ის, რაც გვაძლევს ძალას, არ გავჩერდეთ

აქტიურობა საგარეო მიმართულებით



გიორგი ონიანი
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

2025 ალბათ ყველაზე რთული წელი იყო ორგანიზაციისთვის და მისი თანამშრომლებისთვის. წლის ბოლოს ჩვენი ფიზიკური ოფისების დახურვა მოგვიწია. ეს ყველაფერი "ქართული ოცნების" მიერ დრაკონული კანონმდებლობის მიღების და მათი აღსრულების დაწყების გამო მოხდა.

თუ 2024 წელს ვსაუბრობდით დემოკრატიის უკუსვლასა და ევროპული კურსის შეფერხებაზე, 2025 წელს უკვე ნათლად გამოიკვეთა ხელისუფლების მხრიდან ამ კურსის მიზანმიმართული დემონტაჟის პროცესი. დასავლური ინტეგრაცია ფაქტობრივად შეჩერებულია, ხოლო ქვეყნის საგარეო და შიდა პოლიტიკაში კიდევ უფრო გაძლიერდა ანტი-დასავლური რიტორიკა და ნაბიჯები.

მიუხედავად ამ რთული გარემოსა, ქართველი ხალხის პროევროპული არჩევანი მკაფიოდ და პრინციპულად გამოიხატა. საზოგადოებრივი პროტესტი და სამოქალაქო აქტივობა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ქვეყნის სტრატეგიული მიმართულება არ შეცვლილა – ის კვლავ დასავლეთს უკავშირდება.

მეამაყება, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ პროცესებში კვლავ ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაცია იყო. 2025 წელს ჩვენ გავაგრძელეთ სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგი, კორუფციისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევების გამოვლენა და ამაზე აქტიურად საჯაროდ საუბარი. ჩვენი საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება სულ უფრო აქტიურად ცდილობდა კრიტიკული ხმების დისკრედიტაციასა და შეზღუდვას.

წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაძლიერდა ზეწოლა სამოქალაქო საზოგადოებაზე და დამოუკიდებელ მედიაზე. ჩვენ ვხედავდით მცდელობებს, შეეზღუდათ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა, კიდევ უფრო დაესუსტებინათ ინსტიტუტები და



დაეკნინებინათ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა. ამ ფონზე ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიური და პრინციპული გახდა.

საერთაშორისო მიმართულებით, 2025 წელს ჩვენი კომუნიკაცია პარტნიორებთან კიდევ უფრო კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო.







ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით ევროკავშირის, ბრიტანეთის, აშშ და სხვა პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებთან, და პროფილურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მათთვის მიგვეწოდებინა საქართველოში მიმდინარე პროცესების ზუსტი და ობიექტური შეფასება. ამ დიალოგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შიდა წინააღმდეგობის შემდეგ, სწორედ საერთაშორისო მხარდაჭერა რჩება გადამწყვეტ ფაქტორად საქართველოს დემოკრატიული მომავლისთვის.







მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან ანტი-დასავლური განცხადებებისა და ხშირ შემთხვევაში ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიმართ მიუღებელი რიტორიკისა, დასავლეთის მხარდაჭერა ქართველი ხალხის მიმართ უცვლელია. სწორედ ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ საქართველო კვლავ დაბრუნდეს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

საქართველოსთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია დღეს კიდევ უფრო მეტად წარმოადგენს ეგზისტენციალურ არჩევანს, ამიტომ, "ქართული ოცნების" და მის მიერ მიტაცებული სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სამოქალაქო საზოგადოებისთვის შექმნილი სირთულეების მიუხედავად, ჩვენ ვეძებთ და ვიპოვით სწორ გზებს მუშაობის გასაგრძელებლად, რათა დავიცვათ დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საქართველოს დასავლური მომავალი.

კორუფციის აღიარების წელი: სიმართლე, რომელიც ვერლარ დამალეს



სანდრო ქევხიშვილი
ანტიკოჰუფციული გუნდის ხელმძღვანელი

2025 წელი გამორჩეული იყო იმით, რომ „ქართულ ოცნებას“ მოუწია ელიტური კორუფციის შერჩევითად აღიარება, რასაც ჩვენი ორგანიზაცია და საგამოძიებო მედია წლების განმავლობაში კონკრეტული ფაქტებით ვამტკიცებდით, თუმცა ხელისუფლება პოტენციურ დამნაშავეებს ხელს აფარებდა და მუდმივი უარყოფის რეჟიმში კონტრშეტევაზე გადმოდიოდა.

საქართველოში მაღალი დონის/ელიტური კორუფციის მრავალწლიანი გამოძიებისა და მონიტორინგის შემდეგ, 2025 წლის ბოლოს ჩვენ ერთ პუბლიკაციაში გავაერთიანეთ ყველა არსებული მონაცემი, რამაც უკეთ გამოაჩინა ქვეყანაში არსებული კორუფციის კლეპტოკრატიული სისტემა. 5 მილიარდი ლარი, არის ის თანხა, რაც, მხოლოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გამოძიებებით, „ქართულ ოცნების“ ჩინოვნიკებმა კორუფციული სახელმწიფო შესყიდვების გზებით მიიღეს ბოლო 10 წლის განმავლობაში.

„ქართული ოცნების“ მიერ ანტიკორუფციული ბიუროს გამოყენება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის რეპრესირებისთვის სახელმწიფოს მიტაცების მორიგი ნათელი გამოვლინება იყო. წლის განმავლობაში ბიურომ 80-ზე მეტი ორგანიზაციის, მათ შორის ჩვენ მიმართ რამდენიმე უკანონო მონიტორინგი დაიწყო. საპასუხოდ, ბიუროს გავუგზავნეთ წლების განმავლობაში ჩვენ მიერ გამოქვეყნებული 70-ზე მეტი კორუფციის გამოძიება, რომელთაგან ანტიკორუფციულ ბიუროს არცერთზე რეაგირება არ ჰქონია.






კორუფციის გამოძიებები

ღია წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ 2024 წელს, ბიძინა ივანიშვილის ნათესავის ბიზნესპარტნიორმა ვახტანგ კარიჭაშვილმა მთავრობის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამიდან 25 მილიონი ლარი მიიღო, რაც პროგრამის ერთწლიანი ბიუჯეტის 13%-ია. კარიჭაშვილის კომპანიებმა, რომლებმაც ამ პროგრამებიდან ჯამში 56 მილიონი ლარი მიიღეს, სანაცვლოდ „ქართულ ოცნებას“ 783 ათასი ლარი შესწირეს.


ასევე შევისწავლეთ თანამდებობის პირების მიერ ოფიციალურად დეკლარირებული საჩუქრები და ვნახეთ, რომ მათ 2024-2025 წლებში 34 მილიონი ლარის საჩუქრები მიიღეს. თანამდებობის პირის მიერ ოჯახის წესრისგან საჩუქრის მიღებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა, რაც ხშირად გამოიყენება უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის.







2025 წლის ივნისში გამოვავლინეთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა დაარღვია კანონი, როდესაც არ წარადგინა ქონებრივი დეკლარაცია 2024 წლის ოქტომბერში ფორმალურად დეპუტატის სტატუსის მიღების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მალევე უარი თქვა მანდატზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ამ საკითხთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტს მოჰყვა „ქართული ოცნების" საჯარო განცხადება, რომელმაც ფაქტობრივად დაადასტურა, რომ მისმა ლიდერმა დაარღვია კანონი.










ივლისში გამოვიკვლიეთ „ქართული ოცნების“ წევრებისა და მაღალჩინოსნების ევროპული ქონებები და ბიზნესები, რამაც აჩვენა, რომ საქართველოში ანტიდემოკრატიული კანონებისა და ნაბიჯების მხარდამჭერი პირები თავად სწორედ დემოკრატიულ ევროპაში ყიდულობენ უძრავ ქონებას, აფუძნებენ კომპანიებს და იღებენ ევროკავშირის მოქალაქეობას საკუთარი შვილებისთვის. ოქტომბერში ვამხილეთ, თუ როგორ ფინანსდება მმართველი პარტიის პროპაგანდა. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ფორმალურად კერძო საკუთრებაში არსებული პროპაგანდისტული არხი „იმედი“ სინამდვილეში დაფინანსებულია ბიძინა ივანიშვილის მიერ, მისი სხვადასხვა კომპანიიდან მიღებული სესხის სქემის გამოყენებით.









მაღალი დონის კორუფციის მონიტორინგი

რამდენიმე წელია სისტემატურად ვაკვირდებით და ვაგროვებთ თანამდებობის პირების მიმართ მაღალი დონის კორუფციის საჯაროდ გავრცელებულ ბრალდებებს, რასაც განახლებადი სიის სახით ვაქვეყნებთ. სიაში ძირითადად შედის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი მედიის მიერ ჩატარებული გამოძიებები, რომელთა მიმართ თითქმის ნულოვანი რეაგირება იყო წლების განმავლობაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან.

2025 წელს სიას 65 ახალი გამოძიება დაემატა, და ამჟამად სავარაუდო ელიტური კორუფციის 271 შემთხვევას მოიცავს. ამ საქმეებში 227-ზე მეტი თანამდებობის პირი ფიგურირებს, მათ შორის:

მთავრობის 38 წევრი (მინისტრი და მინისტრის მოადგილე), პარლამენტის 40 წევრი, 18 მოსამართლე და ადგილობრივი თვითმმართველობის 72 მაღალჩინოსანი. ახალი გამოძიებების შესახებ ინფორმაციას ჩვენ პერიოდულად ვაწვდით საგამოძიებო ორგანოებს.






წლის ბოლოს ჩვენ ასევე დავინტერესდით „ქართული ოცნების“ მიერ დაწყებული გამოძიებებით, რის შედეგადაც დაკავებულ იქნა რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელთა შორის იყვნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი. ჩვენი ანალიზით, მიმდინარე გამოძიებების მიზეზი მმართველი პარტიის შიდა დაპირისპირებაა და არ ემსახურება კორუფციასთან რეალურ ბრძოლას.

კორუფციის რუკა

მაღალი დონის კორუფციის მასშტაბის უკეთ წარმოსაჩენად, 2025 წლის მაისში გავასაჯაროეთ „კორუფციის რუკა“, სადაც საქართველოს რუკის ფონზეა ნაჩვენები ელიტური კორუფციის გახმაურებული და, როგორც წესი გამოუძიებელი, შემთხვევების უმეტესობა.





სანქციების მონიტორინგი

გავაგრძელეთ ინფორმაციის შეგროვება დასავლური ქვეყნების მიერ საქართველოს მაღალჩინოსნების დასანქცირების შესახებ. წლის ბოლოს დასავლურ სამყაროს „ქართული ოცნების“ 230-ზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა დასანქცირებული, რომელთაგან 141-ის ვინაობა გასაჯაროვდა, ხოლო დანარჩენებზე ანონიმური სავიზო შეზღუდვები იყო დაწესებული. სანქციები დააწესეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა, პოლონეთმა, ჩეხეთმა, ლიეტუვამ, ლატვიამ, ესტონეთმა და უკრაინამ. დასანქცირებულთა შორის არიან:



2025 წლის დასაწყისში ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ აშშ-ს მიერ საქართველოში რუსული ინტერესების ხელშეწყობისთვის დასანქცირების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა ნაბიჯები გადადგა მისი ოფშორული აქტივების ნაწილის საქართველოში რეპატრიაციისთვის. ჩვენ ასევე შევისწავლეთ ის პოტენციური შედეგები, რაც ივანიშვილს შეიძლება დაუდგეს დიდი ბრიტანეთის სანქციების შემთხვევაში.



ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახის 4 წევრი, „ქართული ოცნების“ 52 მაღალჩინოსანი, 47 მოსამართლე, 17 პროკურორი და 14 პოლიციელი. სანქციები ეხება ადამიანის უფლებების დარღვევებს, კორუფციას და რუსეთის დახმარებას.



ეკონომიკური ანალიზი

2025 წლის დასაწყისში გავაანალიზეთ მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. ამის შემდეგ, შევხედეთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაახლოებას ისეთ ავტორიტარულ ქვეყნებთან, როგორიცაა ჩინეთი და ირანი, რასაც კორუფციის რისკების ზრდა მოჰყვება.





ასევე, გავაანალიზეთ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი, საიდანაც საჯარო სექტორის ზრდა და დასავლური გრანტების შემცირება, ასევე თანამდენობის პირებსა და პენსიონერების ანაზღაურებაში შორის უდიდესი დისბალანსი გამოიკვეთა - მაგალითად, პრემიერ-მინისტრის ხელფასი 43-ჯერ აღემატება პენსიას.

წლის ბოლოს კი, შევხედეთ ყულევის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გარშემო არსებულ ინფორმაციას რუსეთზე დაწესებული სანქციების შესაძლო გვერდის არიდების პრიზმაში და დავსვით კითხვები, თუ რატომ ხდება საქართველოს მიერ რუსული ნავთობის შეძენა და რუსეთისთვის ფულის გადარიცხვა უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე.



საგამოძიებო ვებგვერდების განვითარება


წლის განმავლობაში დიდი ყურადღება დავუთმეთ ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული პროდუქტისა და სავიზიტო ბარათად ქცეული საგამოძიებო ვებგვერდების განვითარებას, რომელთა გამოყენება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა Companyinfo.ge-ს (კომპანიების მფლობელთა ძიება), Tendermonitor.ge-ს (სახელმწიფო შესყიდვების ძიება) და Politicaldonations.ge-ს (პოლიტიკურ შემომწირველთა ძიება) პროგრამული უზრუნველყოფა და ახალი ფუნქციების დამატება. სწორედ ეს ვებგვერდები ხდის შესაძლებელს კორუფციის ეფექტიან მონიტორინგს.



წლის განმავლობაში დიდი ყურადღება დავუთმეთ ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული პროდუქტისა და სავიზიტო ბარათად ქცეული საგამოძიებო ვებგვერდების განვითარებას, რომელთა გამოყენება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა Companyinfo.ge-ს (კომპანიების მფლობელთა ძიება), Tendermonitor.ge-ს (სახელმწიფო შესყიდვების ძიება) და Politicaldonations.ge-ს (პოლიტიკურ შემომწირველთა ძიება) პროგრამული უზრუნველყოფა და ახალი ფუნქციების დამატება. სწორედ ეს ვებგვერდები ხდის შესაძლებელს კორუფციის ეფექტიან მონიტორინგს.



უკუსვლის და რეპრესიების წელი: მართლმსაჯულება, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებები



სანდრო ბარამიძე

ადამიანის უფლებათა და მართლმსაჯულების პროგრამის მენეჯერი

2025 წელი მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე წელი იყო პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოს ისტორიაში. ეს იყო ავტორიტარული რეჟიმის შემდგომი კონსოლიდაციის, კონსტიტუციური ინსტიტუტების ბოლომდე მიტაცების, საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის მომხრეთა სისხლის სამართლის წესით დასჯის, ზოგადად კრიტიკული აზრის ჩახშობის, სამოქალაქო საზოგადოების განადგურებამდე მიყვანის, პოლიტიკური პლურალიზმის დემონტაჟისკენ გადადგმული ნაბიჯების წელი.

ჩვენი ორგანიზაციის სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების პროგრამის თანამშრომლებმა ამ პრობლემების გამოვლენასა და ანალიზს ჯამში 40-ზე მეტი ბლოგი და ანგარიში მიუძღვნეს. ვაკვირდებოდით ათობით სისხლის სამართლის საქმის განხილვას სასამართლოებში. ასევე ათეულობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გასამართლებული პირის უფლებებს ვიცავდით სასამართლოებში. საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ იქნა ერთი კონსტიტუციური სარჩელი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კი - 8 საჩივარი.

მართლმსაჯულება

მართლმსაჯულების სისტემა მთლიანად სასამართლო კლანის მორჩილების ქვეშ იმყოფება. თავის მხრივ, სასამართლო კლანი ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ხელმძღვანელობის მითითებების უსიტყვო შემსრულებელია.
ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით თვალსაჩინო 2024 წლის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნებისა და 2024 წლის ნოემბერში „ქართული ოცნების“ მიერ ევროინტეგრაციის კურსზე უარის თქმის შემდეგ თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პირების სასამართლო პროცესებზე გახდა.

ჩვენი პროგრამის თანამშრომლებმა - თამთა კახიძემ, გვანცა დანელიამ, თეონა ზაქარაშვილმა, ვიქტორ კვიტატიანმა და მე - შევისწავლეთ ათობით პროტესტის მონაწილის სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, ვესწრებოდით ათობით პროცესს სასამართლოში და კვლევის შედეგები შესაბამის ანალიტიკურ პუბლიკაციებში ავსახეთ. მათ შორისაა:

- ცნობილი ჟურნალისტის, სახაროვის პრემიის ლაურეატის - მზია ამაღლობელის საქმე, რომელშიც პოლიციურმა სახელმწიფომ ქალი ჟურნალისტი სამაგალითოდ დასაჯა იმის გამო, რომ მან მოძალადე პოლიციის უფროსს სილა გააწნა;

- ზვიად ცეცხლაძის, ანდრო ჭიჭინაძის და ე.წ. „ჯგუფურ მოქმედებაში“ მსჯავრდებული სხვა 17 პირის საქმეები, რომლებშიც გამამტყუნებელი განაჩენები ფაქტიურად მხოლოდ კანონის დარღვევით მოპოვებული ვიდეო მტკიცებულებების საფუძველზე იქნა გამოტანილი;



- ოპოზიციონერი აქტივისტის და პოლიტიკოსის - საბა სხვიტარიძის საქმე, რომელშიც გაყალბებულია ყველაფერი, მათ შორის, თავდაპირველი მითითებები ვითომდაც ჩადენილი დანაშაულის ადგილის და გარემოებების შესახებ;





- სამოქალაქო აქტივისტის გიორგი ოკმელაშვილის საქმე, რომლის მიმართ საგამოძიებო ორგანოებმა მრავალრიცხოვანი საპროცესო დარღვევები დაუშვეს;

- პუტინისტური რეჟიმისგან დევნილი სამი რუსი სამოქალაქო აქტივისტის - ანტონ ჩეჩინის, არტიომ გრიბულისა და ანასტასია ზინოვკინას საქმეები, რომლებიც ვითომდაც ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვაში იქნენ მსჯავრდებულნი, სინამდვილეში კი ნარკოტიკების ჩადების დანაშაულებრივი პრაქტიკის მსხვერპლნი გახდნენ;



- ქართველი სამოქალაქო აქტივისტების - გიორგი ახობაძისა და ნიკოლოზ კაციას საქმეები, რომლებიც საბედნიეროდ გამართლებულ იქნენ ასევე ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ხელოვნურად შეკოწიწებულ ბრალდებებში, თუმცა მათ რეჟიმი თვეების განმავლობაში უკანონო პატიმრობაში ამყოფებდა;

- რვა ოპოზიონერი პოლიტიკური ლიდერის - ნიკა მელიას, ნიკა გვარამიას, გიორგი ვაშაძის, ზურაბ ჯაფარიძის, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, გივი თარგამაძის და ირაკლი ოქრუაშვილის მსჯავრდების საქმეები, რომლებსაც ე.წ. „წულუკიანის კომისიაზე“ გამოუცხადებლობის გამო დასდეს მსჯავრი;

- ელენე ხოშტარიას ბრალდების საქმე, რომელსაც კალაძის საარჩევნო ბანერზე ფლომასტერით მიწერილი სიტყვებისთვის სისხლის სამართლის წესით ასამართლებენ, მიუხედავად იმისა, რომ უარეს შემთხვევაში მისი საქციელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით;

- 2025 წლის 4 ოქტომბერს დაკავებული პირების - პაატა ბურჭულაძის, მურთაზ ზოდელავას, ირაკლი ნადირაძის, ლაშა ბერიძის, პაატა მანჯგალაძის და სხვათა საქმეები, რომლებიც სამართალდამცავი სისტემის მიერ წინასწარ დაგებული მახის მსხვერპლნი გახდნენ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საქმე მართლმსაჯულების სრულ დეგრადაციაზე მიუთითებს. ბრალდების ფორმულირებები და გამამტყუნებელი განაჩენები სავსეა უტყუარ და რელევანტურ მტკიცებულებებს მოკლებული შეფასებებით, რომლებიც მხოლოდ მოწმე პოლიციელებისა და პროკურატურის გავლენის ქვეშ მყოფი ე.წ. ექსპერტების ცრუ ჩვენებებსა და დასკვნებს ეყრდნობა. ამას ემატება, აგრეთვე, სასამართლოების სრული გულგრილობა ბრალდებულების წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობაზე განცხადებების მიმართ.



ცალკე აღნიშვნის ღირსია ივანიშვილის ყოფილი ფინანსური მრჩევლის - გიორგი ბაჩიაშვილის უკანონო ბრალდებისა და მსჯავრდების საქმე, რასაც ასევე თან ახლდა უცხო ქვეყნიდან მისი სავარაუდო გატაცებისა და საქართველოში უკანონოდ ჩამოყვანის, საპატიმრო დაწესებულებაში მისი სასტიკი ცემისა და ამ ფაქტთან დაკავშირებით საპატიმრო დაწესებულების ხელმძღვანელის საეჭვო, დღემდე დაუდგენელ გარემოებებში სიკვდილის ფაქტები; აგრეთვე, ბაჩიაშვილის მშობლების მიმართ განხორციელებული უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნა.

ბაჩიაშვილის საქმე არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ მუშაობს მთელი სახელმწიფო მანქანა, განსაკუთრებით მისი რეპრესიული აპარატი - სასამართლო, პროკუტარურა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, პენიტენციური სისტემა და სხვ. - ერთი ადამიანის კერძო ფინანსური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამ კუთხით, ბაჩიაშვილის მიერ დანაშაულის ე.წ. აღიარება, საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმება და ე.წ. ზარალის ანაზღაურება, რასაც შედეგად მოჰყვა მისი გათავისუფლება პირობითი მსჯავრის საფუძველზე, აგრეთვე, მისი მშობლების სისხლისამართლებრივი დევნისგან გათავისუფლება, არათუ არ აქარწყლებს, არამედ პირიქით, კიდევ უფრო განამტკიცებს ეჭვებს მთელი ამ სქემის სიყალბისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ივანიშვილის ნება-სურვილისადმი დაქვემდებარების შესახებ.

ასევე აღნიშვნის ღირსია გიორგი ჩიკვაიძისა და მისი ბიზნესპარტნიორის უკანონო მსჯავრდების საქმე, სადაც, პროკურატურის კერძო კორუფციულ ინტერესებთან ერთად „ქართული ოცნების“ რუსეთის მიმართ მაამებლობის პოლიტიკის ნიშნები იკვეთება.



პუბლიკაციაში, რომელიც ამ საქმის ანალიზს მიეძღვნა, ჩვენ გამოვთქვით მტკიცე ვარაუდი, რომ პოტენციურად კერძო სამოქალაქო დავის საქმე ჩიკვაიძის სისხლისსამართლებრივი დევნის საქმედ მარტო იმიტომ გადაიქცა, რომ ოდესღაც „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა ბიზნესმენმა - გიორგი ჩიკვაიძემ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო სანქცირებული რუსი ბიზნესმენის - ოლეგ დერიპასკას იახტის საქართველოს ტერიტორიული წყლებში გადამალვის უკანონო სქემაში.

სამართლის უზენაესობა

“ქართული ოცნება” ყველა შტოსა და ფორმალურად დამოუკიდებელ ინსტიტუტებს აკონტროლებს. შედეგად, ქვეყანაში აღარ მოქმედებს სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებული სისტემა და ჩამოყალიბებულია ერთპარტიულ მმართველობაზე დაფუძნებული რეჟიმი, სადაც ანტიდემოკრატიული კანონები, პოლიტიზებული მართლმსაჯულება და რეპრესიული მექანიზმები განსხვავებული აზრის დასათრგუნად გამოიყენება

რეპრესიული კანონმდებლობის შეფასება

2025 წლის განმავლობაში ჩვენმა ორგანიზაციამ არაერთი ბლოგი გამოაქვეყნა „ქართული ოცნების“ პარლამენტის მიერ მიღებულ რეპრესიულ კანონმდებლობაზე. მათ შორისაა:



- ე.წ. „ფარა“, რომელიც ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ რეესტრში რეგისტრაციის გარეშე ნებისმიერ საქმიანობას უკრძალავს და სისხლის სამართლის წესით სჯის ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელიც ხელისუფლებამ შეიძლება ე.წ. „უცხოელი პრინციპალის“ აგენტად მიიჩნიოს;

- ცვლილებები კანონში, რომლითა მთავრობის თანხმობის გარეშე გრანტების მიღება და გაცემა აიკრძალა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ქვემდებარე გახდა უცხოური წყაროსგან ხალხის დახმარება; ხოლო, მეორე ეტაპზე, თვითნებურად და სამართლის პრინციპების საწინააღმდეგოდ გაფართოვდა „გრანტის“ ცნება, ხოლო, უცხოური წყაროსგან ნებართვის გარეშე გრანტის მიღება ან/და გამოყენება სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდ





- საკანონმდებლო ცვლილებებით შესაძლებელი გახდა პოლიტიკური პარტიის მოკლე ვადებში აკრძალვა, თუ ეს პარტია იმეორებს უკვე აკრძალული პარტიის „განცხადებულ მიზანს ან საქმიანობის არსს“, მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას;

- ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში, რომლითაც სამაუწყებლო მედიას აეკრძალა უცხოური წყაროსგან დაფინანსების მიღება და დაწესდა მედიის შინაარსობრივი რეგულირების ნორმები, რომლებიც კომუნიკაციების კომისიას ფაქტიური ცენზურის უფლებამოსილებას ანიჭებს;

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში ხუთ პაკეტად შეტანილი ცვლილებები, რომლებიც მძიმე ფულადი ჯარიმებით და მეტიც, ჯერ ადმინისტრაციული პატიმრობით, ხოლო, შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ემუქრება ნებისმიერ პირს, რომელიც ხელისუფლების მიმართ პროტესტს ქუჩაში, მათ შორის, ტროტუარზე დგომით გამოხატავს.

პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნის და ოპოზიციური პარტიების აკრძალვის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეფასება

ჩვენმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ვრცელი ბლოგი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის – ე.წ. „წულუკიანის კომისიის“ – უკანონოდ შექმნისა და საქმიანობის შესახებ. ჩვენი შეფასებით, კომისია კონსტიტუციისა და პარლამენტის რეგლამენტის უხეში დარღვევით შეიქმნა, რის გამოც მასში გამოუცხადებლობისთვის რვა პოლიტიკური ლიდერის გასამართლება ასევე უკანონოა.





ამასთან, „ქართულმა ოცნებამ“ კომისიის დასკვნა გამოიყენა სამი მსხვილი ოპოზიციური პარტიის აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შესატანად.

ჩვენი შეფასებით, სარჩელი იმდენად დაუსაბუთებელია და იმდენად მოკლებულია მტკიცებულებით საფუძველს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მისი განსახილველად მიღების საფუძველიც კი არ გააჩნია, რომ არაფერი ვთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სარჩელის დაკმაყოფილება საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის დასრულების ტოლფასი ქმედება იქნება.

ადამიანის უფლებები

რეპრესიები სამოქალაქო პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ

2024 წლის 28 ნოემბრიდან სახელმწიფომ სისტემატურად და სისტემურად გამოიყენა არასათანადო მოპყრობა და პოლიციური ძალადობის სხვა ფორმები პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ. კერძოდ, თვითნებურად აკავებდნენ პროტესტის მონაწილეებს, სცემდნენ და ხშირად ურტყამდნენ თავსა და სახეში, იყენებდნენ სპეციალურ ხელთათმანებსა და ხელკეტებს, შემდეგ კი მიჰყავდათ პოლიციის კორდონის უკან, მედიის კამერებისგან მოშორებით და ე.წ. საწამებელ მანქანებში ძალადობა კიდევ უფრო სასტიკი ფორმებით გრძელდებოდა.







2025 წლის 1 დეკემბერს BBC-მ გაავრცელა დოკუმენტური ფილმი სათაურით „When Water Burns“, რომელშიც ვარაუდია გამოთქმული, რომ 2024 წლის ნოემბერ–დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ შესაძლოა გამოიყენა აკრძალული ქიმიური ნივთიერება. „ქართული ოცნების“ რეჟიმმა ეს ინფორმაცია უარყო საკუთარი გამოძიების საფუძველზე, რომელიც BBC-ის ფილმის გამოსვლიდან ხუთი დღეში ჩატარდა და მისი შედეგები სანდოობას მოკლებულია. თითქმის ყველა შემთხვევაში ნაცემ და

უკანონოდ დაკავებულ პროტესტის მონაწილეებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ სათანადო სამართლებრივი პროცესის უფლებებით, მათ შორის ადვოკატთან დაუყოვნებლივი შეხვედრის უფლებით. რიგ შემთხვევაში დაკავებული პირებს ბოლომდე აშიშვლებდნენ და ბუქნების კეთებას აიძულებდნენ.







დღემდე არ გამოძიებულა და მართლმსაჯულების წინაშე არ წარმდგარა არცერთი მოძალადე პოლიციელი. ამის ნაცვლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ სამარცხვინო ქმედებებისთვის "ქართული ოცნების" ლიდერების წარდგინებით „ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა. მეტიც, „ქართული ოცნების" პარლამენტმა გააუქმა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელიც თავის დროზე საერთაშორისო თანამეგობრობის დაჟინებული რეკომენდაციით სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება ყოფილიყო სწრაფი და ეფექტიანი.





რეპრესიები ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წინააღმდეგ

2025 წლის განმავლობაში, დაჩქარებული წესით გაგრძელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომლებიც ახდენს სამოქალაქო აქტივობის, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თავისუფალი მედიის საქმიანობის კრიმინალიზაციას ან, უკეთეს შემთხვევაში, სტიგმატიზაციას, სპობს საერთაშორისო დაფინანსების შესაძლებლობას, ზღუდავს ფუნდამენტურ უფლებებს, ხელს უწყობს ცენზურისა და თვითცენზურის დამკვიდრებას და ქმნის სამართლებრივ საფუძველს პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. აღნიშნულ კანონებს მკვეთრად კრიტიკული შეფასება მისცა ვენეციის კომისიამ.



ამ კანონების საფუძველზე 2025 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ჩვენ და სხვა წამყვანმა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა მივიღეთ წერილობითი შეტყობინებები ანტიკორუფციული ბიუროსა და სასამართლოებისგან, რომ ვიმყოფებოდით მონიტორინგის ქვეშ. ანტიკორუფციული ბიურო ჩვენგან ითხოვდა ყველა სახის ინფორმაციის, მათ შორის, ბენეფიციარების სენსიტიური პერსონალური მონაცემების წარდგენას. საპასუხო წერილებით ჩვენ მოვახსენეთ ბიუროს,

რომ ყველა სახის ფინანსური ინფორმაცია ისედაც გამჭვირვალე და ხელმისწვდომი იყო ჩვენს ვებსაიტებზე; ხოლო, რაც შეეხება ბენეფიციარების პერსონალურ მონაცემებს, მათ გაცემაზე უარი განვაცხადეთ, რადგან ეს მონაცემები დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით. აღნიშნული გარემოება ნებისმიერ დროს შეიძლება გახდეს დამატებითი სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული ზომების საფუძველი მონიტორინგის ქვეშ მყოფი ორგანიზაციების, მათ შორის მათი ხელმძღვანელების მიმართ. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ 2025 წლის ბოლოს "ქართული ოცნების" პარლამენტმა გააუქმა ანტიკორუფციული ბიურო და მისი ფუნქციები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს გადააბარა.



2025 წლის სექტემბერში დაახლოებით ათეული არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერები, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი - ეკა გიგაური პროკურატურამ მაგისტრატ მოსამართლეთა წინაშე დაკითხვაზე დაიბარა ე.წ. პირბადეების საქმეზე. უფრო მეტიც, ზოგიერთი ორგანიზაციის საბანკო ანგარიშები დაყადაღებულ იქნა.

2025 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ეკა გიგაური და რამდენიმე სხვა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი კვლავ დაიბარეს მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვაზე, ისევ ე.წ. პირბადეების საქმეზე, რომელზეც ე.წ. გამოძიება 2025 წლის აპრილში სოლიდარობის ფონდების წინააღმდეგ დაიწყო. მათი იმას ედავებოდნენ, რომ აქციის მონაწილეებს პოლიციის უკანონო თავდასხმებისგან დაცვის საშუალებებს - პირბადეებს, აირწინაღებს და სხვა ამგვარს ურიგებდნენ და უკანონოდ



დაჯარიმებულ სამოქალაქო აქტივისტებს ჯარიმების გადასახდელად ფულად დახმარებას უწევდნენ. ნოემბერში ამავე საქმეზე ბრალი წარედგინა რამდენიმე პოლიტიკურ ლიდერს, რაც წარმოშობს მოლოდინს, რომ მსგავსი ბრალდება შესაძლოა სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებზეც გავრცელდეს.

2025 წლის იანვარში ბათუმში, სასტუმრო "შერატონში" განხორციელდა ჯგუფური თავდასხმა ჩვენი ორგანიზაციის რეგიონალური პროგრამების მენეჯერზე, ცნობილ ჟურნალისტსა და სამოქალაქო აქტივისტზე - ზვიად ქორიძეზე. თავდასხმის ორგანიზატორი და წამქეზებელი იყო "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული დეპუტატი დიმიტრი სამხარაძე. მას მხარს უბამდნენ აჭარაში "ქართული ოცნების" მთავრობის მაღალი თანამდებობის პირი და მათთან დაახლოებული სხვა პირები. თავდასხმის სავარუდო მიზანი იყო ზვიადის დაშინება და მასზე შურისძიება იმის გამო, რომ იგი ჟურნალისტ მზია ამაღლობელის მხარდასაჭერად სასამართლო პროცესზე დასასწრებად იყო ჩასული.





საბოლოო ჯამში, ამ საქმის მთავარი ფიგურანტები დაუსჯელები დარჩნენ და პასუხი აგებინეს მხოლოდ ერთ პირს - მძღოლს, დიმიტრი სამხარაძის მოგვარეს და სავარაუდო ნათესავს, რომელსაც მეტად მსუბუქი სასჯელი - 3000 ლარიანი ჯარიმა აკმარეს.

ამ რეპრესიული ნაბიჯების შედეგად, არაერთ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას მოუწია ოფისების დახურვა და საქმიანობის შეჩერება. დევნის გამო, ზოგიერთ მათგანს ქვეყნის დატოვებაც მოუწია ან განიხილავდა მსგავს შესაძლებლობას.





კონსტიტუციური სარჩელი

2025 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სახელითაც მოამზადა კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც ეხება „გრანტების შესახებ“ კანონში 2025 წლის აპრილში შეტანილი ცვლილებების კონსტიტუციურობას. სარჩელი რეგისტრაციაში გატარდა 2025 წლის 19 მაისს, თუმცა, წელი ისე ამოიწურა, რომ სასამართლოს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია ამ სარჩელთან დაკავშირებით.






საჩივრები სტრასბურგის სასამართლოში

2025 წელს ჩვენმა ორგანიზაციამ მოამზადა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა 8 საჩივარი. აქედან ერთი საჩივარი ეხება ივანიშვილის რეჟიმის მიერ მიღებულ რეპრესიულ კანონებს და ცვლილებებს საკანონმდებლო აქტებში („ფარა“, ცვლილება „გრანტების შესახებ“ კანონში და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში.

ერთი საჩივარი ეხება ცნობილ ადვოკატს და სამართლის ექსპერტს, რომლის მიმართ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ SLAPP სარჩელი შეიტანა თავისივე კონტროლის ქვეშ მყოფ სასამართლო სისტემაში. დანარჩენი საჩივრები ეხება პირებს, რომელთა მიმართ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან ადმინისტრაციული წარმოება სამოქალაქო პროტესტში მონაწილეობის გამო.

2025 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცნო საქართველოს მიერ ევროპული კონვენციის დარღვევა ლექსო მაჭავარიანის საქმეში, რომელიც უკანონო ადმინისტრაციული დაკავების მსხვერპლი გახდა. მის ინტერესებს სტრასბურგის სასამართლოში ჩვენი ორგანიზაცია იცავდა.





ადმინისტრაციული წესით დაკავებული ან დაჯარიმებული პირების უფლებების დაცვა სასამართლოში

ჩვენი პროგრამის თანამშრომლებმა - თეო ზაქარაშვილმა, ვიქტორ კვიტატიანმა, თამთა კახიძემ და გვანცა დანელიამ გიგანტური შრომა გასწიეს ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავებული ან დაჯარიმებული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევის მხრივ, რაც მოიცავდა იზოლატორებში ამ ადამიანების მონახულებას, დარღვევების დოკუმენტირებას, სასამართლოებში მათი ინტერესების დაცვას.

მოგებული საქმეები – 2025



თეონა ზაქარაშვილი
სამართლებრივი კონსულტაციის ცენტრის კოორდინატორი, იურისტი

ბოლოს სამი წლის განმავლობაში გაუარესებული სასამართლო პრაქტიკისა და რეპრესიული კანონმდებლობის მიუხედავად, რომელიც მათ შორის ჩვენი ორგანიზაციის ფუნქციონირებას აფერხებდა, "საერთაშოროსიო გამჭვირვალობა - საქართველოს" იურისტების გუნდი, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა თუ საპატიმრო დაწესებულებებში, მოქალაქეების ინტერესებს აქტიურად იცავდნენ.

2025 წლის განმავლობაში 3 200-ზე მეტ ადამიანს გავუწიეთ უფასო იურიდიული კონსულტაცია, 38 სასამართლო დავა



მოვიგეთ, რაც ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფებისათვის ჯამში ნიშნავს: სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებისთვის კომპენსაციის მიღებას 483 243 ლარის ოდენობით; 63 960 ლარს შეწყვეტილი პენსიის ასანაზღაურებლად, ხოლო 314 000 ლარს - მიწის დავებზე. ასევე, ბენეფიცირებს 10 100 კვ.მ. მიწა საკუთრებაში დავუბრუნეთ.



განსხვავებული მოსაზრებების, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების, გამოხატვის თავისუფლების კუთხით გაუარესებული კანონმდებლობის და მიმდინარე რეპრესიების ფონზე, საჯარო მოხელეების დასაცავად 46 ახალი საქმე შევიტანეთ სასამართლოში, 195 აქტივისტის და 20 ჟურნალისტის უფლებებს ვიცავდით სხვადასხვა სტრუქტურასა და ინსტანციაში.


გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ ვაგრძელებთ ადამიანის უფლებების დაცვისთვის მუშაობას და არ ვიშურებთ დროსა და ენერგიას ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად.

ვიქტორ კვიტატიანი
იურისტი



მაია კერესელიძის საქმე

მაია კერესელიძის საქმე
2025 წელს მოგებული საქმეებიდან გამოვარჩევ მაია კერესელიძის სამოქალაქო დავას, რომელიც მის უკანონო გათავისუფლებას ეხებოდა.
ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებული პირების უკანონო გათავისუფლებების ფაქტებმა საგრძნობლად იმატა. ხშირად, მსგავსი გათავისუფლება ყოველგვარ დასაბუთებას და კანონიერ საფუძველსაა მოკლებული.
სწორედ მსგავსი უკანონო პრაქტიკის ნათელი მაგალითია მაია კერესელიძის გათავისუფლების შემთხვევა. ის თბილისის 211-ე საჯარო ბაგა - ბაღში 14 წლის განმავლობაში უწყვეტად მუშაობდა. ის რეორგანიზაციის საფუძვლით უკანონოდ გაათავისუფლეს, ამიტომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში წავირღეთ. ჩვენი დახმარებით დავა მაიას გამარჯვებით დასრულდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადასტურა, რომ მისი გათავისუფლება უკანონოდ მოხდა. შედეგად, განაცდურ ხელფასთან ერთად, მაია კერესელიძე 3 150 ლარის კომპენსაციასაც მიიღებს.



მიხეილ ბუსხრიკიძის საქმე



ლელა მოწონელიძე
იურისტი

წარმატებული საქმეებს შორის ადიგენის საკრებულოდან უკანონოდ გათავისუფლებული მიხეილ ბუსხრიკიძის საქმეს გამოვყოფდი.
მიხეილ ბუსხრიკიძე საკრებულოდან აპარატის უფროსის თანამდებობიდან, ფეისბუკზე ევროინტეგრაციის მხარდამჭერი პოსტის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, 2024 წლის 27 დეკემბერს გაათავისუფლეს, საფუძვლად კი, საჯარო სამსახურის შესახებ ახალციხის რაიონულმა სასამართლომ დაგვიკმაყოფილა მოთხოვნა - ბათილად ცნო უკანონო გადაწყვეტილება, ადიგენის საკრებულოს მიხეილის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაავალა.

პენსიონერ გრიგოლ ბაღოშვილის საქმე

გრიგოლ ბაღოშვილს უკანონოდ შეუწყვიტეს პენსია. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი უკანონო გადაწყვეტილებები ხშირია და ჩვენ ინდივიდუალურად ვასაჩივრებთ მსგავს შემთხვევებს.

გრიგოლ ბაღოშვილი წლებია ბათუმის ბულვარში მუშაობს და კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სამწუხაროდ, უკანონო პრაქტიკის გათვალისწინებით, სახელმწიფომ მას პენსია შეუჩერა. გრიგოლ ბაღოშვილმა დახმარებისთვის პირველივე დღიდან ჩვენ მოგვმართა, ჩვენი კი მისი უფლებებისთვის ბრძოლა სასამართლოში წამოვიწყეთ.

ანა ბერძენიშვილი
იურისტი



გრიგოლ ბაღოშვილს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში მოგებული საქმის შედეგად პენსია აღუდგა და ასევე, იმ პერიოდის დაურიცხავ პენსიასაც აიღებს, რომელიც მას უკანონოდ ჰქონდა შეჩერებული ბათუმის ბულვარში მუშაობის გამო.

აქტიურობა რეგიონებში



ზვიად ქორიძე
ხეგიონაღუხი ოფისების მენეჯერი

2025 წელი საკმაოდ დატვირთულიც იყო “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” რეგიონული ოფისებისთვის და საკმაოდ დრამატულიც. დატვირთული იყო იმიტომ, რომ ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ახალციხის ოფისები მთელი წლის განმავლობაში, ერთი მხრივ, ცდილობდნენ კორუმპირებული ჩინოვნიკების მხილებასა და ახორციელებდნენ საჯარო უწყებების საქმიანობის მონიტორინგს, მეორე მხრივ კი, ხელს უწყობდნენ და აძლიერებდნენ ადგილობრივთა სამოქალაქო აქტივობას.

დრამატული აღმოჩნდა წლის ბოლო, როდესაც თავისუფლების შემზღუდველი რუსული კანონების ამოქმედების გამო იძულებული გავხდით, რეგიონული ოფისები ფიზიკურად დაგვეხურა. ამ ფაქტმა ძალიან დააზარალა “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ბევრი ბენეფიციარი, რომლებიც მოდიოდნენ ჩვენს ოფისებში სამართლებრივი მხარდაჭერისთვის, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობის სხვადასხვა მეთოდებზე მსჯელობისთვის, საკუთარი მოსაზრებების გაზიარებისთვის.

მართალია “რუსული კანონების” პირობებში საკმაოდ გართულდა ჩვენი მისიის სრულფასოვნად შესრულება, მაგრამ ჩვენი რეგიონული წარმომადგენლები წარმატებით ახერხებდნენ, რომ აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული სამოქალაქო პროტესტში, და ამავდროულად, ემხილათ რეგიონებში “ბიუჯეტის ქურდები”, ვინც ხალხის გაღარიბების ხარჯზე მდიდრდებოდა.

140 მილიონ ლარზე მეტი საეჭვო კორუფციული გზით გახარჯული სახელმწიფო შესყიდვები გამოააშკარავეს ჩვენმა რეგიონულმა ოფისებმა 2025 წელს. ამ კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობენ: დეპუტატები გიორგი ჭყონია და ვიქტორ ჯაფარიძე; სენაკის მერი ვახტანგ გადელია;



ადიგენის მერიასთან დაკავშირებული 15 პირი; ახალციხის საკრებულოს დეპუტატები, მათი ჯახის წევრები და ნათესავები, რომელთაც მხოლოდ ახალციხის მერიიდან და მისი იურიდიული პირებიდან, ჯამში, 25 მილიონ ლარამდე შესყიდვები მიიღეს. ამ საეჭვო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობდა 35 პირი, რომელთაგან 26 არის ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, 9 პირი კი არის ბიზნესმენი, რომლებიც იმარჯვებენ სახელმწიფო შესყიდვებში, თუმცა, სავარაუდოდ, შემდგომ შედიან კორუფციულ გარიგებებში მმართველ პოლიტიკურ ძალასთან და ხელს უწყობენ კლეპტოკრატიული მმართველობითი სისტემის განვითარებას ქვეყანაში.



- ახალციხის ოფისის ხელმძღვანელმა, თამუნა უჩიძემ გამოააშკარავა, რომ “ადიგენის მერიასთან დაკავშირებულმა 15 პირმა ადიგენის მუნიციპალიტეტის შესყიდვებით 2 მილიონ ლარზე მეტი მიიღო”. ეს არის ადგილობრივი მმართველობის მანკიერი პრაქტიკა, როდესაც ადგილობრივ ხელისუფლებაში დასაქმებული ადამიანები ახერხებენ და ხალხის ფულს, ძირითადად, საკუთარ ოჯახის წევრებს ან მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა კომპანიას სთავაზობენ. სხვა ტიპის მანკიერებაა, როდესაც საჯარო შესყიდვებს იგებენ “ქართულ ოცნებასთან” დაახლოებული ბიზნემენები. თამუნა უჩიძის ერთ-ერთი ბლოგი სწორედ იმას შეეხებოდა, რომ “ქართულ ოცნებასთან დაახლოებულმა ადიგენელმა ბიზნესმენმა შესყიდვებით და სახელმწიფო პროგრამებით 16 მილიონ ლარამდე იხეირა”





ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა, არჩილ თოდუამ გამოიკვლია, რომ დეპუტატ “ვიქტორ ჯაფარიძესთან დაახლოებული პირის კომპანიამ მესტიაში 17 მილიონ ლარამდე ღირებულების ტენდერები მოიგო”. 2025 წელს ჩვენი ყურადღების ცენტრში ისევ აღმოჩნდა სენაკის მერის, ვახტანგ გადელია კორუფციული საქმიანობა: ერთ შემთხვევაში “სენაკის მერმა თავისი ბიძისა და ბიძაშვილის კომპანიებს 38 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის ტენდერი მოაგებინა”, ხოლო მეორე შემთხვევაში “სენაკის მერმა თავისი მეგობრის და ბიზნესპარტნიორის მამას 7 მილიონ ლარზე მეტი სახელმწიფო შესყიდვა მისცა”











- ბათუმის ოფისის ხელმძღვანელმა, მალხაზ ჭკადუამ და ანალიტიკოსმა, გოჩა მჟავანაძემ გამოიკვლიეს, რომ მხოლოდ "აჭარაში უკონკურენტო აუქციონებში გამარჯვებულებმა მილიონ ლარზე მეტი შეწირეს "ქართულ ოცნებას" . "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ადრეც წერდა ბიზნესმენ გიორგი ჭყონიას საქმიანობაზე, თუ როგორ იგებდა ის სახელმწიფო შესყიდვებს და მერე როგორ ეხმარებოდა "ქართულ ოცნებას". 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად გიორგი ჭყონია გახდა დეპუტატი და გააგრძელა ხალხის ხარჯზე გამდიდრება - მან არჩევნების შემდეგ 37 მილიონი ლარის ტენდერები მოიგო. მალხაზ ჭკადუამ და გოჩა მჟავანაძემ ასევე გამოავლინეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, "სანქცირებული სულხან თამაზაშვილის უკანონო მშენებლობა და არადეკლარირებული ქონება".





- ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი, ლელა მოწონელიძე, გარდა იმისა, რომ აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო პროტესტში, უმთავრესად მოქალაქეებს სამართლებრივად ეხმარებოდა.

2025 წელს რეგიონულმა ოფისებმა მოამზადეს 5 მუნიციპალიტეტის - ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისის, ფოთისა და ახალციხის საკრებულოების 2021-2025 წლების საქმიანობის ანგარიშები, რომელთა მიზანიც იყო მოქალაქეების ინფორმირება, თუ რას აკეთებენ მათი რჩეულები და უკეთ როგორ შეუძლიათ მერების საქმიანობის კონტროლი, რათა საბოლოო ჯამში, ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებებზე გახდნენ უფრო მეტად ორიენტირებულნი.







2025 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 120-ზე მეტი თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციები შევისწავლეთ და 10-ზე მეტი დარღვევა გამოვავლინეთ. დარღვევებს შორის აღმოჩნდა აჭარის მთავრობის სანქცირებული თავმჯდომარის, სულხან თამაზაშვილის უკანონო მშენებლობა და არადეკლარირებული ქონება. დეკლარაციების მონიტორინგი კორუფციის გამოვლენის საკმაოდ ეფექტური მექანიზმია. საეჭვო ფაქტების გამოვლენასთან ერთად, ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ დეკლარაციების შევსების ხარისხის გაუმჯობესებას.



2025 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 120-ზე მეტი თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციები შევისწავლეთ და 10-ზე მეტი დარღვევა გამოვავლინეთ. დარღვევებს შორის აღმოჩნდა აჭარის მთავრობის სანქცირებული თავმჯდომარის, სულხან თამაზაშვილის უკანონო მშენებლობა და არადეკლარირებული ქონება. დეკლარაციების მონიტორინგი კორუფციის გამოვლენის საკმაოდ ეფექტური მექანიზმია. საეჭვო ფაქტების გამოვლენასთან ერთად, ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ დეკლარაციების შევსების ხარისხის გაუმჯობესებას.









2025 წელს აუდიტორიას ჩვენი რადიოპროექტების მეშვეობით - არჩილ თოდუას გადაცემა “ჩვენი თვითმმართველობა” (10 გადაცემა) ზუგდიდის რადიო “ათინათში” და ლელა მოწონელიძის “გამჭვირვალე პოლიტიკა” (10 გადაცემა) ქუთაისის რადიო “ძველ ქალაქში” - რეგულარულად ვაწვდიდით ინფორმაციას ჩვენი კვლევების მიგნებებზე და სტუმრებთან ერთად განვიხილავდით ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის გზებს. ეს რადიოპროექტები ძალიან გვეხმარებოდა, რომ რაც შეიძლება მეტი მოქალაქე ყოფილიყო სწორად ინფორმირებული, თუმცა მათი ტრანსლირების საშუალება ადგილობრივ რადიოარხებს აუკრძალა “ქართული ოცნების” მიერ მიღებულმა კანონმდებლობამ, რადგან ლიცენზირებულ მედიასაშუალებებს არ აქვთ უფლება რაიმე ფორმით დასავლური ფონდებისგან დაფინანსებული მედიაპროდუქტი გაავრცელონ.

მედიაგარემო: კრიტიკული მედიის დევნის წელი



ნატალია ვახტანგაშვილი
მედია პროექტის ხელმძღვანელი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ 2025 წელს ტრადიციულად ყურადღებით აკვირდებოდა და აქტიურად ეხმიანებოდა ქვეყანაში განვითარებულ იმ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მედიაგარემოზე, ასევე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე. 2025 წელი საგანგაშო იყო, როგორც ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის ძალადობის, ისე კანონმდებლობის გაუარესების თვალსაზრისით, რამაც უკიდურესაც შეამცირა, რიგ შემთხვევებში კი, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა დამოუკიდებელი მედიასაშუალებების არსებობა. რეკორდულ ნიშნულს მიაღწია მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის შემთხვევებმაც, ფინანსური რესურსების სიმწირის გამო კი მაუწყებლობა ვეღარ განაახლა 20-მდე რეგიონულმა მაუწყებელმა. წლის დასაწყისში დაიხურა ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი კრიტიკული ტელევიზია „მთავარი არხი“, დახურვის საფრთხის წინაშე დადგა კიდევ ორი კრიტიკული ტელევიზია - „ფორმულა“ და „ტვ პირველი“. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ოპერირებს

მთლიანობაში, ავტორიტარიზმის განმტკიცების კვალდაკვალ, რასაც თან სდევდა საკანონმდებლო ბაზის მკვეთრი გაუარესება, ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ გახშირებული, მიზანმიმართული ძალადობა, მათი უკანონო დაკავება და დაჯარიმება, მნიშვნელოვნად დაზიანდა ქვეყნის ისედაც გაუარესებული მედიალანდშაპტი, ჟურნალისტური საქმიანობა კი - სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ პროფესიად იქცა.



2025 წელს განვითარებული მძიმე პროცესები მედიის თავისუფლების საერთაშორისო რეიტინგებშიც აისახა, სადაც საქართველოს პოზიციები, გასულ წლებთან შედარებით, მკვეთრად გაუარესდა. მაგალითად, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ (RSF) პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველოს შედეგები 11 პოზიციით გაუარესდა და ქვეყანამ 103-დან 114-ე ადგილზე გადაინაცვლა.

2025 წლის დასაწყისში, მაუწყებლობის კანონში შეტანილი ე.წ. ცენზურის ცვლილებებით, კომუნიკაციების კომისიას მაუწყებლების შინაარსობრივი რეგულირების და ხელისუფლებისათვის არასასიამოვნო შეფასებებისა და ეპითეტების გამოყენებისთვის ტელევიზიების სადამსჯელო ბერკეტი გადაეცა, რასაც კრიტიკულად გამოვეხმაურეთ კვლევით - „ქართულმა ოცნებამ“ კრიტიკული ტელევიზიების ცენზურის პოლიტიკა აამოქმედა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა დიქტატურისკენ“.

ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი მედიის გაჩუმებისკენ იყო მიმართული კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც მაუწყებლებს უცხოური დაფინანსების მიღება აეკრძალათ. ცვლილებებით მოსალოდნელი უარყოფითი

ეფექტი „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ დეტალურად ასახა კიდევ ერთ კვლევაში სახელწოდებით - „მედიის შემზღუდველი ახალი ცვლილებები კრიტიკული ტელევიზიების განადგურების მიზანს ემსახურება“. 2025 წელს ფინანსური საარსებო წყარო თითქმის სრულად ჩაიკეტა დამოუკიდებელი ონლაინ მედიისთვისაც „ქართული ოცნების“ პარლამენტის მიერ მიღებული „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტისა“ [FARA]“ და გრანტების შესახებ კანონში ცვლილებებით.


მთლიანობაში, 2025 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მედიაგუნდის მიერ მომზადდა 11 კრიტიკული ანგარიში, რომელიც ასახავდა სწორედ იმ მძიმე პირობებსა და მტრულ გარემოს, რომელშიც დამოუკიდებელი, კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს უწევთ საქმიანობა. მხოლოდ 2025 წელს, ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის 600-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 2024 წლის ანალოგურ მაჩვენებელთან შედარებით 3-ჯერ მეტია, 2023 წლის იდენტურ მონაცემთან შედარებით კი - 15-ჯერ არის გაზრდილი.



2025 წელს დრამატულად გაიზარდა ჟურნალისტების დაკავებების, მათთვის პატიმრობის მისჯისა და დაჯარიმების შემთხვევები. გასულ წელს 30-მდე ასეთი ინციდენტი აღირიცხა, მათგან განსაკუთრებით საგანგაშო იყო ონლაინგამოცემების „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის, მზია ამაღლობელის სისხლის სამართლებრივი წესით დაკავება და 2-წლიანი უკანონო პატიმრობის შეფარდება.

მედიის წარმომადგენლების მიმართ გახშირებული თავდასხმების პარალელურად, კვლავაც გამოწვევად რჩება ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დროში გაჭიანურება და დამნაშევე პირთა დაუსჯელობა, რასაც თან ახლავს "ქართული ოცნების" წარმომადგენლების აგრესიული რიტორიკა დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლების მიმართ და დისკრედიტაციის კამპანია მათივე პროპაგანდისტული პლატფორმების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო ახალისებს ჟურნალისტებზე ძალადობის შემთხვევებს და ახდენს მათი დევნის მავნე პრაქტიკის ნორმალიზებას.





მედიაგუნდის კიდევ ერთმა კვლევამ სახელწოდებით - „როგორ დევნის „ქართული ოცნება" კრიტიკულ მედიას - „ტვ პირველის" მაგალითი" - აჩვენა, რომ დამოუკიდებელი მედიის გაჩუმების მიზნით, მმართველი გუნდის წარმომადგენლები და მათთან დაკავშირებული პირები კვლავაც აქტიურად მიმართავენ ე.წ. საჯარო ჩართულობის სტრატეგიულ სარჩელებს (ე.წ. SLAPP), რაც კრიტიკულ მედიაზე კოორდინირებული შეტევის და ჟურნალისტების გაჩუმების მცდელობის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

2025 წელს კვლავაც პრობლემად დარჩა საკანონმდებლო ორგანოში ე.წ. უსაფრთხოების ყვითელი ზონის ამოქმედება მავნე პრაქტიკა, რა დროსაც ონლაინ მედიის წარმომადგენლებს პარლამენტში შესვლა და ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება გაურკვეველი ვადით ეზღუდებათ. ამასთან, მმართველი გუნდის დეპუტატები კვლავაც აგრძელებდნენ საპარლამენტო აკრედიტაციის წესის კრიტიკული მედიის წარმომადგენლების დასჯის მექანიზმად გამოყენებას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" 10-მდე ასეთი შემთხვევა დათვალა.

2025 წელს კიდევ უფრო გართულდა დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლების საქმიანობა სასამართლო სისტემაშიც მას შემდეგ, რაც მათ სასამართლოს ტერიტორიაზე ფოტო და ვიდეო გადაღება აეკრძალათ. სასამართლოს მედიისთვის დახურვა უარყოფით გავლენას ახდენს სასამართლო პროცესების ოპერატიულად გაშუქებაზე.

ქვეყანაში მედიაგარემოს დრამატულად გაუარესების კვალდაკვალ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 2025 წელსაც უწყვეტ სამართლებრივ დახმარებას უწევდა ჟურნალისტებსა და მედიის წარმომადგენლებს. ორგანიზაციის იურისტებმა 2025 წელს სამართლებრივი დახმარება 20-მდე ჟურნალისტს გაუწიეს.

მედიაგუნდმა გამოაქვეყნა სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის კვლევის ანგარიში, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა ის უზარმაზარი დისპროპორცია, რაც სარეკლამო შემოსავლების თვალსაზრისით ფიქსირდება პროსამთავრობო და კრიტიკულ ტელევიზიებს შორის. 2025 წლის პირველ 3 კვარტალში, სამმა პროსამთავრობო მაუწყებელმა („იმედის ჰოლდინგი“, „მედიაჰოლდინგი“ („რუსთავი 2“), „პოსტვ“) 5.8-ჯერ მეტი - 45.5 მლნ ლარის სარეკლამო შემოსავალი მიიღო, კრიტიკულმა „ფორმულამ“ და „ტვ პირველმა“ კი - მხოლოდ 7.8 მლნ ლარის.





2025 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მედიაგუნდმა ასევე გამოაქვეყნა სიღრმისეული კვლევა - „რა ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში?“ - რომელიც საქართველოს „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ მოქმედი მენეჯმენტისა და ხელისუფლებისადმი მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკისადმი კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლების დევნასა და შევიწროებას შეეხებოდა.





“ქართული ოცნების” პარლამენტის მიერ სამოქალაქო საზოგადოების შემზღუდავი არაერთი კანონის მიღების მიუხედავად, მთელი წლის განმავლობაში, კვლავ აქტიური იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ საგამოძიებო და ეთიკური ჟურნალისტიკის მხარდასაჭერად შექმნილი მედიის დახმარების ცენტრიც, რომელიც ჟურნალისტებს, სტუდენტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ეხმარებოდა ღია მონაცემების გამოყენებით სტატიებისა თუ რეპორტაჟების სრულფასოვნად მომზადებაში.



ამასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობდა იმ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართულნი არიან ჟურნალისტთა უფლებების ადვოკატირებასა და მედიის თავისუფლებისთვის ბრძოლაში. პარტნიორობა გაგრძელდა „მედიის ადვოკატირების კოალიციასთან“ და ჩვენი ორგანიზაცია შეუერთდა კოალიციის სახელით გავრცელებულ 30-ზე მეტ განცხადებას, რომლებიც ცალკეული ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციების მიმართ გამოვლენილ სხვადასხვა სახის დისკრიმინაციასა და ძალადობას, ასევე სადავო საკანონმდებლო ცვლილებას შეეხებოდა.






„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ განაგრძობდა თანამშრომლობას ანტი-SLAPP პლატფორმასათანაც, რომელსაც 2023 წელს შეუერთდა და რომლის მიზანიც ჟურნალისტებისა და აქტივისტების წინააღმდეგ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ე.წ. SLAPP-თან (სტრატეგიული სარჩელები საჯარო ჩართულობის წინააღმდეგ) ბრძოლაა. საქართველოში 40-ზე მეტი ასეთი საქმეა წარმოებაში, ორ საქმეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ იურისტები აწარმოებდნენ.

პოლიტიკური კორუფცია, საარჩევნო საკითხები

2025 წელი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე რთული წელი აღმოჩნდა საარჩევნო გარემოს კიდევ უფრო გაუარესების კუთხითაც. ამ პერიოდში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა პარტიების დაფინანსებისა და შემოწირულებების რეგულარული ანგარიშები და აქტიურად გამოეხმაურა საარჩევნო კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს. არსებობის 25-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად, "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" უარი თქვა მუნიციპალურ არჩევნებზე დაკვირვებაზე.



პარტიების დაფინანსება და სისტემური კორუფციის ნიშნები

2025 წელს განვაგრძეთ პოლიტიკური პარტიების შემოწირულებებისა და დაფინანსების მონიტორინგი. წლის პირველ ნახევარში გამოვაქვეყნეთ ვრცელი ანგარიში „პარტიების დაფინანსება 2025 წლის პირველ ნახევარში: „ქართული ოცნების" ფინანსური დომინაცია", ხოლო წლის მეორე ნახევარში — კიდევ ორი ბიულეტენი: ივლის-აგვისტოს და სექტემბრის შემოწირულებების ანალიზი.

ანგარიშებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა „ქართულ ოცნებასა“ და სხვა პარტიებს შორის არსებული უზარმაზარი ფინანსური უთანასწორობა. 2025 წლის პირველ ნახევარში ყველა პარტიამ ჯამში 7,592,948 ლარის შემოწირულება მიიღო, საიდანაც 87% — 6,573,370 ლარი — „ქართულ ოცნებას“ შეხვდა, რაც ყველა სხვა პარტიის მიერ მიღებულ შემოწირულებებს 6-ჯერ აღემატებოდა. ივლის-აგვისტოში პარტიებმა ჯამში 4,877,977 ლარი მიიღეს, საიდანაც 73% (3,553,326 ლარი) კვლავ „ქართული ოცნების“ წილი იყო. სექტემბერში კი — ჯამური შემოწირულებების 6,909,602 ლარიდან 60% (4,145,000 ლარი) მმართველმა პარტიამ მიიღო.

მთელი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ვაჩვენებდით, რომ მმართველი პარტიის შემომწირველებთან დაკავშირებული კომპანიები სისტემატურად იღებდნენ მრავალმილიონიან სახელმწიფო კონტრაქტებს, სუბსიდიებსა და ლიცენზიებს. ივლის-აგვისტოს ბიულეტენში აღვნიშნეთ, რომ 2016 წლიდან „ქართული ოცნების“ დონორებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა სახელმწიფო შესყიდვებში თითქმის მილიარდი ლარის (997 მლნ) კონტრაქტები მოიპოვეს, ხოლო სექტემბრის შემომწირველებში ამ რიცხვმა უკვე 2,51 მილიარდ ლარს მიაღწია (2015 წლიდან). მხოლოდ 2024 წელს ასეთმა კომპანიებმა 588 მლნ ლარის ტენდერები მოიგეს. ამავე პერიოდში ოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა ტენდერებში მხოლოდ 1,4 მლნ ლარი მოიგეს.





საყურადღებო იყო აჭარიდან შემოსული შემოწირულებების ანომალია: აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ცვლილების შემდეგ, სამი თვის განმავლობაში რეგიონიდან 2,59 მლნ ლარი გადაურიცხეს პარტიას, რაც თითქმის უპრეცედენტო რაოდენობა იყო დროის ასეთი მონაკვეთისთვის. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ 2025 წლის პირველი ნახევრის შემომწირველებთან დაკავშირებულმა 13 კომპანიამ 2024–2025 წლებში 27 მლნ ლარზე მეტი აგროსუბსიდია მიიღო, ხოლო ოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა — 0.

ხაზი გავუსვით იმას, რომ ანტიკორუფციული ბიურო აგრძელებდა მიკერძოებული საქმიანობას და პარტიების შემოწირულებების პლატფორმაზე „ქართული ოცნების“ შემოწირულებების მონაცემებს მნიშვნელოვანი დაგვიანებით აქვეყნებდა, მაშინ როცა ოპოზიციური პარტიების ინფორმაცია რეგულარულად იყო ხელმისაწვდომი.



საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები და მუნიციპალური არჩევნები

2024 წლის დეკემბერში „ქართული ოცნების“ ერთპარტიულმა პარლამენტმა შეცვალა მუნიციპალური საარჩევნო სისტემა: შემცირდა პროპორციული წესით არჩეული საკრებულოს წევრების წილი და გაიზარდა მაჟორიტარი წევრების რაოდენობა, რაც მმართველ პარტიას მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებდა. ევროპის საბჭოს ადგილობრივი ხელისუფლების კონგრესის პრეზიდენტმა ეს ცვლილებები გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ისინი „2017 წლის მდგომარეობას აბრუნებს“ და არღვევს 2021 წელს მიღებულ შეთანხმებებს. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2025 წლის მუნიციპალური არჩევნების თარიღად 4 ოქტომბერი განსაზღვრა.



არჩევნებზე დაკვირვებაზე უარი



2 ოქტომბერს, 4 ოქტომბრის მუნიციპალური არჩევნების წინა დღეებში, ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გაავრცელა, რომლითაც საკუთარი 25-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად, არჩევნებზე დაკვირვებაზე უარი თქვა. გადაწყვეტილება ორი ძირითადი მიზეზით იყო განპირობებული.

პირველი — რეპრესიული პოლიტიკური გარემო: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მიღებული კანონებით არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა. ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ეკა გიგაურს დაკითხვებზე იბარებდნენ, რაც სერიოზული სისხლის სამართლებრივი დევნის საფრთხეს ქმნიდა. გარდა ამისა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები სამთავრობო მედიის დეზინფორმაციული კამპანიების მუდმივი სამიზნე და მაღალი თამამდებობის პირების მხრიდან სიტყვიერი თავდასხმის ობექტები იყვნენ.



მეორე — დამკვირვებლების უსაფრთხოება: პოტენციური დამკვირვებლები სრულიად დაუცველნი დარჩებოდნენ „ტიტუშკების“ თავდასხმებისა და მმართველი პარტიის მიერ მოგონილი ბრალდებებისგან. ამ პირობებში არჩევნებზე დაკვირვებით ორგანიზაცია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ილუზიას შექმნიდა, რისი გაკეთებაც მიუღებლად მივიჩნიეთ.

საზღვარგარეთ ხმის მიცემის აკრძალვა

წლის ბოლოს „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთი უაღრესად ზიანის მომტანი კანონი მიიღო. 17 დეკემბერს მესამე მოსმენით დამტკიცდა ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, რომლითაც გაუქმდა საზღვარგარეთ ხმის მიცემის შესაძლებლობა. ეს ცვლილება წარმოადგენს საყოველთაო საარჩევნო უფლების არსებით შეზღუდვას და საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალრიცხოვანი ემიგრანტის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან ფაქტობრივ გარიყვას. კანონპროექტის ინიცირების მომენტიდანავე აქტიურად ვეხმაურებოდით ამ თემას.





საქართველოს დიასპორა სხვადასხვა შეფასებით მილიონამდე მოქალაქეს ითვლის, ბოლო 10 წელიწადში ქვეყნიდან ჯამში 264 ათასი მოქალაქე გავიდა, ხოლო მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2024 წელს ემიგრანტების გზავნილებმა 4,1 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს დაახლოებით 12%) შეადგინა. ამავდროულად, დიასპორის საარჩევნო აქტივობა მუდმივად იზრდებოდა: 2016 წელს საზღვარგარეთ 4,816-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა, 2020 წელს — 12,247-მა, ხოლო 2024 წლის არჩევნებში 34,574-მა, რაც 8 წელიწადში 7-ჯერ ზრდას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საარჩევნებზე მმართველმა პარტიამ საზღვარგარეთ მიცემული ხმების მხოლოდ 13% მიიღო და მე-4 ადგილზე გავიდა.







შემოწირულებების პლატფორმა და მონაცემთა ბაზა

2025 წელსაც გავაგრძელეთ პარტიების შემოწირულებების ვებპლატფორმის politicaldonations.ge განახლება, სადაც 2012 წლიდან დღემდე პარტიების ყველა დონორის, მათი ბიზნესინტერესებისა და შესაძლო კორუფციული კავშირების შესახებ ინფორმაციაა თავმოყრილი. პლატფორმა საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს, მკვლევრებსა და მოქალაქეებს, თვალი ადევნონ იმ სისტემურ კავშირებს, რომლებიც მმართველი პარტიის დონორებს, მათ ბიზნესებსა და სახელმწიფო რესურსებს შორის არსებობს.



ერთპარტიული პარლამენტი



ლიკა საჯაია
პროექტის მენეჯერი

2025 წელს ქვეყანაში მიმდინარე არადემოკრატიული პროცესების ავანგარდში სწორედ ერთპარტიული პარლამენტი იდგა, ვინაიდან გამოირჩეოდა რეპრესიული კანონმდებლობის დამტკიცებითა და საპარლამენტო ზედამხედველობის ფაქტობრივი გაუქმებით.

პოლიტიკური კონტექსტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა პარლამენტის მუშაობას. 2024 წლის არჩევნების შემდეგ ოთხმა ოპოზიციურმა პარტიამ მიიღო მანდატები, თუმცა სამმა მათგანმა უარი თქვა მანდატებზე, ხოლო ერთმა, „გახარია საქართველოსთვის“, ფორმალურად შეინარჩუნა მანდატები, მაგრამ არ მონაწილეობდა ერთპარტიული პარლამენტის საქმიანობაში. მოგვიანებით, 2025 წლის ოქტომბერში, ისინი შეუერთდნენ საპარლამენტო საქმიანობას. ამავე დროს, მმართველი პარტიის სიით არჩეული დეპუტატები გავიდნენ უმრავლესობიდან და შექმნეს „ხალხის ძალა“ და „ევროპელი სოციალისტები“, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა კვაზი ოპოზიცია.

ასეთ გარემოში ერთპარტიულმა პარლამენტმა 2025 წელს მიიღო არაერთი კანონი, რომელიც წინააღმდეგობაში იყო ადამიანის ძირითად უფლებებთან და ზღუდავდა როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციით, ისე საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს. ამ კანონებმა პირდაპირი გავლენა მოახდინა მოქალაქეებზე. საპროტესტო აქციის ასობით მონაწილეს სწორედ მათ საფუძველზე შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეაფასა და გამოაქვეყნა ყველა იმ კანონის ანალიზი, რომელიც ადამიანის უფლებებს ლახავდა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. რეპრესიული კანონების მიღება დაჩქარებული წესით ხდებოდა და კანონდებლობის გაუარესება რამდენიმე ციკლს მოიცავდა - ერთსა და იმავე კანონში რამდენჯერმე შექონდათ გაუარესებული ცვლილება.



განსაკუთრებით აღსანიშნავია საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო ფუნდამენტურ თავისუფლებებსა და დემოკრატიული სისტემის ძირითად ინსტიტუტებს. მათ შორისაა:

• შეკრებისა და მანიფესტაციის საყოველთაო უფლების ფაქტობრივი გაუქმება და აქციის მონაწილეთა სისხლის სამართლის წესით დასჯა მათი გამოხატვის გამო, მაგალითად ტროტუარზე დგომისა და აქციის დროს ნიღბის ტარებისათვის;

• მედიის შემზღუდველი კანონები, რომელთა ამოცანა იყო კრიტიკული სამაუწყებლო მედიისთვის საერთაშორისო დაფინანსების წყაროების გადაკეტვა;

• იგამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა ჟურნალისტების დაცვის გარანტიები, მათ შორის ჟურნალისტური წყაროს კონფიდენციალობის დაცვა და გაიზარდა პოლიტიკოსების დაცვის მექანიზმები;

• პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვისკენ მიმართული კანონები, რომელთა მიზანი ოპონენტების ჩამოშორება იყო;

• ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული ნორმები, რომლითაც აიკრძალა მთავრობის ნებართვის გარეშე ფინანსური წყაროს მიღება, რამაც საბოლოოდ სამოქალაქო საზოგადოების გაუქმების რისკი დააყენა;

• სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შეზღუდვისკენ მიმართული ცვლილებები, რაც წარმოადგენს მმართველი ძალის მცდელობას სამართლებრივი სივრცის ტოტალური კონტროლის დაკანონებისა და სასამართლო ხელისუფლებაზე საზოგადოების ზედამხედველობის საჯარო მექანიზმების გაუქმებისკენ;

• სისხლის სამართლის მიმართულებით რეპრესიული ცვლილებები, როგორიცაა ანონიმური მოწმის ინსტიტუტის გამოყენება, ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა და ქონების ჩამორთმევა და სხვა.

რეპრესიული კანონების მიღებას პარალელურად ახლდა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების ფაქტობრივი გაუქმება. პარლამენტის ახალი რეგლამენტით გაუქმდა ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორიცაა მინისტრის საათი და თემატური მოკვლევის ინსტიტუტი; 2025 წელს არც ერთ კომიტეტს არ მიუწვევია თანამდებობის პირი მოსასმენად; ხოლო დეპუტატების მიერ გაგზავნილი სადეპუტატო კითხვების რაოდენობა მხოლოდ ოთხს შეადგენდა. ეს გარემოება მიუთითებს საპარლამენტო ზედამხედველობის ფუნქციის სისტემურ დეგრადაციაზე.



პოლიტიკური პროცესების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გამოიყენა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. კომისიის დასკვნა საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო სარჩელს, რომლის მიზანი ოპოზიციური პარტიების გაუქმება და პოლიტიკური პლურალიზმის მოშლაა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომისიის შექმნა შესაძლებელი გახდა სწორედ ხელოვნურად შექმნილი ოპოზიციური ფრაქციის არსებობით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა კომისიის კრიტიკული შეფასება, სადაც დეტალურად არის გაანალიზებული როგორც პროცედურული დარღვევები, ასევე მისი შექმნის მიზანი და შედეგები.






2025 წელს “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” გამოაქვეყნა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში „ერთპარტიული პარლამენტი და დემოკრატიის გაუქმება საპარლამენტო რესპუბლიკაში“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მთავარმა იურისტმა თამარ ტატანაშვილმა გაანალიზა პარლამენტის საქმიანობის შესახებ მოცულობითი ინფორმაცია. ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული პარლამენტის როლი როგორც საკანონმდებლო პროცესში, ისე საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებაში, აგრეთვე მისი გავლენა საგარეო პოლიტიკასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.





პარლამენტის ფუნქციური ტრანსფორმაცია განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მისი როლით რეპრესიულ პოლიტიკაში. იგი მმართველი პარტიის მითითებების შემსრულებლად იქცა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ქართული ოცნებისთვის“ არასასურველი საჯარო მოხელეების განთავისუფლებაში, რისთვისაც შექმნა შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი. საპროტესტო ტალღის დათრგუნვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა საჯარო სამსახურის სრულად პარტიის დაქვემდებარებაში მოქცევა. ამ მიზნით მიღებულ იქნა რეპრესიის ხელშემწყობი კანონები და პარალელურად დაიწყო იმ საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება, რომლებიც ქვეყნის ევროპული გზიდან გადახვევის გამო პროტესტს საჯაროდ გამოხატავდნენ. გაუქმდა არაერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუცია, მათ შორის საჯარო სამსახურის ბიურო, ხოლო რეპრესიები შეეხო ათობით უწყებაში დასაქმებულ ათასობით თანამშრომელს.








საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ასევე შეისწავლა არაერთ უწყებაში უკანონოდ გათავისუფლებული პირების საქმეები, დაუკავშირდა მათ პირადად და გამოაქვეყნა ანგარიში „რეპრესიები საჯარო სამსახურში“, სადაც დეტალურად არის აღწერილი როგორც საკანონმდებლო ცვლილებების პრობლემები, ასევე საჯარო მოხელეების დარღვეული უფლებები. ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ გაიმართა ფართო დისკუსია, რომელსაც ესწრებოდა ასზე მეტი გათავისუფლებული საჯარო მოხელე, სადაც ევროპული კურსის მხარდაჭერის გამო მათ მიმართ გატარებული სადამჯელო ისტორიები გაგვიზიარეს.







„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოაქვეყნა ანგარიში „ქართული ოცნების დეპუტატების კავშირები ბიზნესთან, სახელმწიფო შესყიდვები და პარტიული შემოწირულობები“, სადაც გაანალიზებულია დეპუტატების ბიზნეს ინტერესები, მათი კომპანიების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში და წინასაარჩევნო პარტიული შეწირულობები. ანგარიშის მიხედვით, 87-დან 41 დეპუტატს აქვს კავშირი ბიზნესთან; 7 კომპანიას, რომლებშიც დეპუტატები ფლობენ წილს, მოგებული აქვთ 271 ტენდერი; 13 კომპანიას მოგებული აქვს 301 გამარტივებული შესყიდვა; ხოლო იმ კომპანიებმა, რომლებშიც მოქმედი დეპუტატები ფლობენ წილს, ტენდერების მოგების შემდეგ მიიღეს 465,900,569 ლარი.



პიარ აქტივობები

ჩვენ მედიასა და სოციალურ ქსელებში

2025 წლის განმავლობაში “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” მედიის ყურადღების ცენტრში 6 ათასზე მეტჯერ მოექცა. ჩვენი წარმომადგენლები წლის განმავლობაში აქტიურად პოზიციონირებდნენ, გადაცემებს სტუმრობდნენ და მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარებს აკეთებდნენ როგორც ადგილობრივი ქართული, ისე საერთაშორისო მედიისთვის.





2025 წელს სოციალური ქსელის ყველა პლატფორმაზე ერთად 7,4 მილიონზე მეტი ნახვა დაგვიგროვდა.





ყველაზე აქტიურად Facebook გამოიყენებოდა ინფორმაციის გასავრცელებლად, სადაც საერთო ჯამში 6,7 მილიონზე მეტი ნახვა დავაგროვეთ. 2025 წელს, ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდს 6 578 გამომწერი მოემატა და 52 000-ს გადააჭარბა.
Instagram-ზე ჩვენი გამომწერების რიცხვმა 1,300-ს გადააჭარბა და ჯამში, 100 ათასზე მეტი ნახვა დავაგროვეთ.





X-ზე 1000-ზე მეტი გამომწერი მოგვემატა და სულ 400 000-ზე მეტი ნახვა დავაგროვეთ. ამ სოციალურ ქსელს აქტიურად ვიყენებთ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისთვის.



პროფესიულ პლატფორმა Linkedin-ზე 131 ათასზე მეტი ნახვა გვქონდა და 72 ათასზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს მიწვდით. გამომწერების რაოდენობამ კი 4000-ს მიაღწია. 2025 წელს აქტიურად ვიყენებდით LinkedIn-ს ჩვენი ანგარიშებისა და განცხადებების გამოსაქვეყნებლად.



ტიკტოკზე წლის განმავლობაში ვაქვეყნებდით სატელევიზიო ეთერებიდან ამონარიდებს და “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” მიერ მომზადებულ ვიდეოებს, მათ შორის ინტერვიუებს და ქუჩის გამოკითხვებს. ტიკტოკზე საერთო ჯამში დავაგროვეთ 100 000-ზე მეტი ნახვა, ხოლო გამომწერების რაოდენობამ 1500-ს მიაღწია.





კამპანიები

2025 წლის აქტივობები უფრო ბრძოლას დაემსგავსა, ვიდრე ჩვენს ტრადიციულ კამპანიურ საქმიანობას, რომელიც ყოველთვის ჩვენი ქვეყნის დასავლური კურსის გამტკიცებისკენ იყო მიმართული.
იმ ვითარებაში, როცა მმართველი ძალის ანტიდემოკრატიულმა და ანტიდასავლურმა ნაბიჯებმა და განცხადებებმა სისტემური სახე მიიღო, ჩვენი აქტივობებიც ამ გამოწვევების საპასუხოდ დავგეგმეთ, რათა ხალხისთვის ჩვენი პლატფორმები აზრის თავისუფლად გამოხატვის ადგილად გვექცია.








საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეების მხარდამჭერი კამპანია

“დასჯილია კონსტიტუციის 78-ე მუხლის ერთგულების გამო!” — ასე დავარქვით მხარდამჭერი ვიდეოების ციკლს, რომელიც საჯარო სამსახურებიდან რეპრესიულად გათავისუფლებული მოხელეების ისტორიებს ეხება. ისინი გვიყვებიან, როგორ დაკარგეს სამსახური მხოლოდ იმის გამო, რომ საჯაროდ დააფიქსირეს საკუთარი პოზიცია კონსტიტუციით გამყარებული ქვეყნის ევროპული კურსის მიმართ და შესაბამის პეტიციას მოაწერეს ხელი.







2024 წლის 28 ნოემბერს პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნა დღის წესრიგში არ დადგებოდა, საყოველთაო აღშფოთება და მასშტაბური პროტესტი მოჰყვა, მათ შორის საჯარო სამსახურებში. მოხელეებმა პეტიციებს მოაწერეს ხელი კონსტიტუციის 78-ე მუხლის დასაცავად, რის გამოც, ბევრი მათგანი სამსახურებიდან უკანონოდ გაათავისუფლეს.

წერილი რეჟიმის პატიმრებს



თებერვალში, სინდისის პატიმრების მხარდასაჭერ მარშზე მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოეტანათ ან ადგილზე დაეწერათ წერილები რეჟიმის ტყვეებისთვის. ჩვენ ავიღეთ პასუხისმგებლობა, რომ ეს წერილები მიაღწევდა თითოეულ ადრესატამდე.
აქციაზე განთავსებულ წერილების ყუთში სულ 222 წერილი შეგროვდა, რომლებიც სრულად გაიგზავნა შესაბამის საპატიმროებში და ჩაბარდა ადრესატებს.
ამ ინიციატივით კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოვხატეთ ჩვენი თანადგომა სინდისის პატიმრების მიმართ — ადამიანების, რომლებიც სამშობლოს სიყვარულისთვის ისჯებიან!



#ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲘᲣᲕᲘᲖᲝ

ჩვენი პოზიცია ურყევი და მტკიცე იყო ყოველთვის იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველი ხალხი იმსახურებდა ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლას და თუ მას რაიმე სახით საფრთხე დაემუქრებოდა, ეს მთავრობის ანტიდასავლური და ანტიდემოკრატიული პოლიტიკის ბრალი იქნებოდა.

ამ საკითხზე საზოგადოების განწყობების უკეთ გასაგებად, უშუალოდ მოქალაქეებს მივმართეთ — ქუჩაში გამოვკითხეთ ადამიანები და ასევე ჩავწერეთ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების, მათ შორის მწერლების, მუსიკოსების, გამომცემლებისა და სხვა პროფესიონალების ვიდეოები, რომელთაც ჩვენს ონლაინ პლატფორმებზე საკმაოდ ბევრი ნახვები დააგროვეს.







განათლების რეფორმა: ახალი რკინის ფარდა

2025 წელს ევროპისგან კიდევ ერთ უკან გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა განათლების რეფორმა, რომლითაც ხელისუფლება ახალგაზრდებს ევროპული განათლების გზაზე გადაეღობა.

ამ თემაზე ჩავწერეთ სფეროს ექსპერტების, პროფესორების, ლექტორებისა და სტუდენტების მოსაზრებები. ამ კამპანიით მიზნად დავისახეთ, მკაფიოდ წარმოგვეჩინა საზოგადოების ნამდვილი სურვილი და გვეჩვენებინა, რამდენად ეწინააღმდეგება დაანონსებული განათლების რეფორმა ქართველი ხალხის არჩევანს — დაუახლოვდეს ევროპულ ოჯახს, ევროპული სტანდარტების განათლების სისტემის განვითარებას და სტუდენტებისთვის ევროპული განათლების მიღების შესაძლებლობის შენარჩუნებას.





ძალა ერთობაშია
ძალა ევროპაშია

9 მაისს, ევროპის დღე მარშით აღვნიშნეთ, რასაც წინ უძღოდა ვიდეოკამპანია „ძალა ერთობაშია, ძალა ევროპაშია“. მარშის დასაანონსებლად შევქმენით ათამდე ვიდეო ქართველი ინფლუენსერებისა და აქტივისტების მონაწილეობით. ამ ვიდეოებში კიდევ ერთხელ მკაფიოდ და ემოციურად გამოიკვეთა მთავარი სათქმელი: ქართველი ხალხის გზა არის დასავლეთისკენ, ევროპული ღირებულებებისკენ და თავისუფლებისკენ.



სტაჟირება ჩვენთან – ახალგაზრდების კარიერული სტარტი

2025 წელსაც წარმატებით განვაგრძეთ სტაჟირების პროგრამა, რომლითაც საშუალებას ვაძლევთ სტუდენტებს პრაქტიკულ საქმესთან პირველი შეხება ჰქონდეთ, ინტერესის ახალი სფეროები გამოკვეთონ და ამის მიხედვით დაგეგმონ სამომავლო სასწავლო თუ პროფესიული კარიერა.

ჩვენთან 3-თვიანი სტაჟირება ჯამში 21 სტუდენტმა გაიარა. გვახარებს, რომ სტუდენტებში ძალიან პოპულარულია ჩვენი ორგანიზაცია.
ჩვენთან სტაჟირება სტუდენტებს პროფესიული კარიერის დაწყებისთვის კარგ შანსს აძლევს. ამის დასტური ისიც არის, რომ 2025 წელს ჩვენს გუნდში კიდევ 2 სტაჟორი დასაქმდა

ჩვენთან თანამშრომლობით მიღებულ სასარგებლო გამოცდილებაზე ახალგაზრდები თავად მოგვითხრობენ:







თამთა ბეჟანიშვილი

“საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოში“ სტაჟირება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პროფესიული გამოცდილება იყო ჩემთვის. შევიძინე ახალი მეგობრები, დავაგროვე დიდი გამოცდილება და ცოდნა. ძალიან მომწონდა სამუშაო გარემო და ამიტომ ყოველთვის მოტივირებული მივდიოდი ოფისში.

TI დამეხმარა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს მოძიებასა და შესწავლაში, კორუფციული სქემების გაშიფვრასა და მონაცემების უკეთ გააანალიზებაში. მქონდა შესაძლებლობა, დავხმარებოდი მკვლევარებს და წვლილი შემეტანა სხვადასხვა კვლევაში, რაც, ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო იყო ჩემი პროფესიული განვითარებისთვის. ვინაიდან ვსწავლობ საერთაშორისო ურთიერთობებს და მუშაობასაც ამ სფეროში ვგეგმავ, ვფიქრობ, კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია.

მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა მნიშვნელოვანია დემოკრატიის შენარჩუნებისთვის, ვინაიდან ისინი Watchdog-ის ფუნქციას ასრულებენ, მუდმივად აკონტროლებენ ხელისუფლების საქმიანობას და კანონსაწინააღმდეგო საქმეებში ამხელენ. მიხარია, რომ ამ გუნდის წევრი ვიყავი და წარმატებებს ვუსურვებ მათ!



ირაკლი ხოჭოლავა

TI-ში გატარებულმა პერიოდმა, პირველ რიგში, შემძინა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები და დამანახა, რომ კორუფციასთან ბრძოლა არა მხოლოდ თეორიული პრინციპების ცოდნა, არამედ დეტალების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება და მოვლენების მიღმა არსებული ინტერესების დანახვაა. პროფესიულ ზრდასთან ერთად, ამ გარემომ გამაცნო დარგის საუკეთესო ექსპერტები და ჩამომიყალიბა პასუხისმგებლობის ის ხარისხი, რომელიც აუცილებელია გამჭვირვალობის სადარაჯოზე მყოფი ნებისმიერი მკვლევარისთვის.



ეს გამოცდილება ჩემთვის მნიშვნელოვანი პროფესიული საფუძველია, რადგან პრაქტიკულად დავინახე, როგორ ფუნქციონირებს სახელმწიფო სისტემა და სად შეიძლება არსებობდეს კორუფციული რისკები. საკანონმდებლო ხვრელების ძიებისა და ინტერესთა კონფლიქტების იდენტიფიცირების უნარი, ინფორმაციის გამოთხოვისა და ადმინისტრაციული პროცესების მართვის გამოცდილებასთან ერთად, გამომადგება როგორც ანალიტიკურ, ისე მენეჯერულ პოზიციებზე. ამასთან, TI-ში შეძენილი პროფესიული კონტაქტები მომავალში დამეხმარება დამოუკიდებლად ვაწარმოო რთული კვლევითი პროცესები და დავიცვა მაღალი ეთიკური სტანდარტები.

ლიკა გობეჯიშვილი

სტაჟირება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ ჩემთვის მნიშვნელოვანი გამოცდილება აღმოჩნდა, განსაკუთრებით საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოს უკეთ გასაგებად. ორგანიზაციაში მუშაობამ მომცა შესაძლებლობა, თეორიული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობასთან დამეკავშირებინა და უფრო ნათლად დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი კვლევა, ფაქტებზე დაფუძნებული ანალიზი და აქტიური სამოქალაქო სექტორი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის.



სტაჟირების განმავლობაში ვიმუშავე საინტერესო კვლევებზე, მონაწილეობა მივიღე პროფესიულ დისკუსიებში, ვისწავლე ინფორმაციის კრიტიკულად შეფასება და მუშაობა სხვადასხვა წყაროსთან. ეს გამოცდილება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემი პროფესიული გზისთვის, მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა და პროექტში, დავიწყე სწავლა მაგისტრატურაზე საზღვარგარეთ, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მსოფლიოში წამყვან უნივერსიტეტში (LUISS Guido Carli). სტაჟირებამ ასევე უფრო მჭიდროდ გამაცნო ევროკავშირის ინსტიტუტები, რომლებთან თანამშრომლობაც ჩემს სამომავლო პროფესიულ გეგმებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

მარიამ გელაშვილი

სამთვიანი სტაჟირების განმავლობაში მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება მივიღე კვლევის, მონაცემთა ანალიზისა და ანტიკორუფციული გამოძიებების მიმართულებით. რაც მოითხოვდა ღია წყაროების ინფორმაციის დამუშავებასა და დეტალების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კორუფციის რისკების გამოვლენა. ასევე ვმონაწილეობდი ონლაინ ბლოგებისა და მოკლე ანალიტიკური სტატიების მომზადებაში, რომლებიც საქართველოში კორუფციულ სქემებს ეხებოდა და ეფუძნებოდა ჩვენს მიერ გაანალიზებულ მონაცემებს.

ამ სტაჟირებამ მნიშვნელოვნად გამიძლიერა კვლევითი, ანალიტიკური და წერითი უნარები და მომცა უშუალო წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ მუშაობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელიც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას ემსახურება. მიღებულმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩემს აკადემიურ განვითარებაში და კიდევ უფრო გაამყარა ჩემი კარიერული ინტერესი მმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.



მარიამ კორახაშვილი

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე მუშაობა ყოველთვის ჩემი უდიდესი მისწრაფება იყო. TI-ს სტაჟირებამ მომცა შესაძლებლობა, ამ გზაზე მნიშვნელოვანი პროფესიული და პიროვნული გამოცდილება მიმეღო.
ჩემი სამუშაო პერიოდის მანძილზე ახლოდან გავეცანი ანტიკორუფციულ საქმიანობას. მქონდა პატივი, მიმეღო მონაწილეობა ისეთ პრაქტიკულ პროცესებში, რომლებიც დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას ემსახურება. განსაკუთრებით მადლობელი ვარ TI-ს გუნდის, რომლის მხარდაჭერამ და პროფესიონალიზმმა დიდი მოტივაცია მომცა და განვითარებისკენ უფრო მეტად მიბიძგა.

სტაჟირების განმავლობაში შევიძინე შეუფასებელი გამოცდილება კვლევით და ანალიტიკურ საქმიანობაში, რაც ჩემი აზრით, ყოველდღიურად მეხმარება კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარების განვითარებაში. დარწმუნებული ვარ, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება როგორც ახლა, ისე მომავალში, დიდ როლს ითამაშებს ჩემს აკადემიურსა და პროფესიულ საქმიანობაში.



მარიამ მამაცაშვილი

განვლილი სტაჟირება საკმაოდ დასამახსოვრებელი და საინტერესო გამოცდილება იყო. ორგანიზაციამ შესაძლებლობა მომცა, საკუთარი წვლილი შემეტანა იმ ადამიანების დახმარებაში, რომლებიც დაუღალავად შრომობენ ქვეყანაში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლებისათვის. ვთვლი, რომ ამჟამად, განსაკუთრებით დასაფასებელი და ღირებულია ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირება, როგორიცაა “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” და მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება პირადად გამომეცადა ეს ყველაფერი.



პროფესიულ გამოცდილებასთან ერთად აუცილებლად უნდა გამოვყო ის პიროვნული თვისებები, რომელთა განვითარებაშიც დიდი როლი უკავია ამ სტაჟირებისას მიღებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ცოდნას - განსაკუთრებით, ანტიკორუფციულ გუნდთან მუშაობისას. ძალიან დიდ პატივს ვცემ ორგანიზაციის მისიასა და საქმიანობას და ვთვლი, რომ დაინტერესებული პირებისთვის ეს სტაჟირება იდეალური შესაძლებლობაა.

ნატალი მთავრიშვილი

სტაჟირების პროგრამაში, ვფიქრობ, ქვეყნისთვის განსაკუთრებით კრიტიკულ დროს ჩავერთე. ორგანიზაციაში გატარებულმა დრომ და მიღებულმა გამოცდილებამ, კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მისი საქმიანობა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია.



სტაჟირებამ შესაძლებლობა მომცა, მემუშავა სფეროს წამყვან სპეციალისტებთან ერთად და მიმეღო კვლევის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამამ დიდი როლი ითამაშა ჩემი სამომავლო კარიერული გზის განსაზღვრასა და სამაგისტრო პროგრამის მიმართულების სწორად შერჩევაში. ასევე, პროგრამის ფარგლებში საშუალება მომეცა, გამეცნო სხვა საინტერესო და მოტივირებული ახალგაზრდები.

საბა ფორჩხიძე

ჩემთვის, როგორც საჯარო პოლიტიკის სტუდენტისთვის, “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ მიღებული გამოცდილება ნამდვილად დაუვიწყარია. სტაჟირებამ მასწავლა, თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში ანტიკორუფციული საქმიანობა, როგორ უნდა ამოვიცნოთ კორუფცია საჯარო სექტორში, როგორ ხდება ინსტიტუციური გამჭვირვალობის შეფასება და კიდევ ერთხელ დამეხმარა, რომ გამეთავისებინა რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის საჯარო პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობა და მათზე დაკვირვება.

რაც შეეხება კვლევით საქმიანობას, გამოვარჩევდი მონაცემთა ბაზებთან მუშაობას და სხვადასხვა დოკუმენტის ანალიზს, რადგან ამის დახმარებით ვისწავლე, თუ როგორ უნდა დამუშავდეს დიდი რაოდენობის ინფორმაცია სწრაფად და მოკლე დროში. ასევე, უფრო მეტად დავხვეწე კვლევით უნარები, რაც აუცილებელი შენაძენია მომავალ აკადემიურ საქმიანობაში. ყველაზე მნიშვნელოვნად კი, მაინც პროფესიონალ გუნდთან ერთად მუშაობის გამოცდილების დაგროვება მიმაჩნია.



კორუფციის აღქმის ინდექსი 2025: საქართველოს რეიტინგი 3 ქულით შემცირდა

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული 2025 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) მიხედვით, საქართველოს ქულამ 3 პუნქტით იკლო და 50 გახდა. 100 ბალიან შკალაზე 50 საშუალო შედეგია. საქართველოს ასეთი დაბალი ქულა 2013 წლის შემდეგ არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის რეგიონში ის პირველობას ინარჩუნებს.

კორუფციის აღქმის ინდექსი ძირითადად ზომავს, თუ რამდენად არის კორუფციისადმი მოწყვლადი ამა თუ იმ ქვეყნის საჯარო სექტორი, მაგალითად, რამდენად არის გავრცელებული წვრილმანი მექრთამეობა. საქართველოს საშუალო ქულა მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ ქვეყანაში წვრილმანი მექრთამეობა საყოველთაოდ გავრცელებული არ არის.

თუმცა, ინდექსი არ ზომავს კორუფციის ისეთ კომპლექსურ ფორმებს, როგორიცაა სახელმწიფოს მიტაცება და კლეპტოკრატია. საქართველოში კორუფციის მხრივ მთავარი გამოწვევა კი სწორედ ესაა.

კორუფციის აღქმის ინდექსი 181 ქვეყანაში ტარდება. ქვეყნები ფასდება 100 ბალიანი სისტემით, სადაც 100 დადებითი, ხოლო 0 უარყოფითი შედეგია.



2025 წლის შედეგების თანმდევი ანალიზის მიხედვით, საქართველოს ქულის კლება და, შესაბამისად, კორუფციის რისკის ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული დემოკრატიის უკუსვლასთან და ქვეყანაში ავტოკრატიის აღზევებასთან:


„საქართველოს შემთხვევაში კარგად ჩანს, თუ როგორ უწყობს ხელს დემოკრატიული უკუსვლა პირდაპირ კორუფციის რისკებს. მმართველი პარტიის მიერ შემოღებული ე.წ. „უცხოელი აგენტების“ კანონი და გრანტების კანონი ანტიდემოკრატიული ზომებია, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ლეგიტიმური საქმიანობის კრიმინალიზებას ახდენს და დამოუკიდებელ აქტორებს უცხოელ აგენტებად აცხადებს.

პარტიამ ასევე გააძლიერა განსხვავებული აზრის წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნა, მედიის შეზღუდვა, არასამთავრობო ორგანიზაციების საბანკო ანგარიშების გაყინვა და მომიტინგეებისა და ჟურნალისტების ძალადობრივი დარბევა.

2024 წლის სადავო არჩევნებისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის მოლაპარაკებების შეჩერების შემდეგ, საერთაშორისო დამკვირვებლები საქართველოში ავტორიტარულ შემობრუნებაზე საუბრობენ, რაც გამოიხატება ოპოზიციური პარტიების აკრძალვისა და საჯარო სამსახურზე, პოლიციასა და სასამართლოზე პოლიტიკური კონტროლის გაღრმავების მცდელობით. ეს მწვავედ ზრდის კორუფციის რისკებს და მთლიანობაში აზიანებს ქართულ საზოგადოებას.“


კორუფციის აღქმის ინდექსის შესახებ

2025 წლის ინდექსში საქართველოს ქულა შემდეგ კვლევებს ემყარება: ბერტელსმანის ფონდის ტრანსფორმაციის ინდექსი, მსოფლიო სამართლის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი, „გლობალ ინსაითის“ ქვეყნების რისკის რეიტინგი, „ფრიდომ ჰაუსის“ ტრანზიციული ქვეყნების კვლევა, პროექტი „დემოკრატიის ვარიაციები“, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ბიზნესის ხელმძღვანელ პირთა აზრის გამოკითხვა.




ფინანსური მონაცემები

დანახარჯები ლარში




დონორებისგან მიღებული შემოსავალი ლარში



შემოსავლები წლების მიხედვით

წელი	ლარი
2000	115,248
2001	268,912
2002	34,745
2003	94,754
2004	269,708
2005	496,986
2006	696,646
2007	655,022
2008	683,793
2009	638,291
2010	557,973
2011	1,067,881
2012	2,088,474
2013	2,847,099
2014	1,862,643
2015	2,254,047
2016	2,476,755
2017	4,053,619
2018	3,775,214
2019	4,126,265
2020	5,004,421
2021	2,878,145
2022	3,387,358
2023	3,580,129
2024	3,539,401
2025	2,998,422
სულ	**50,451,952**



Crowe GE LLC
Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str., Tbilisi 0160, Georgia
Main +995 32 290 45 22
www.crowe.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ვის: „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო'-ს საბჭოს წევრებს

აუდიტორის მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს (ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს (ორგანიზაცია) ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"
- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მატერიალური გაურკვევლობა, რომელიც დაკავშირებულია უწყვეტ საქმიანობასთან

ჩვენ გვსურს ყურადღება მიაქციოთ შენიშვნა 2-ს უწყვეტი საქმიანობის შესახებ. ეს მოვლენები ან პირობები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით შეცვლილი არ არის.

ძირითადი აუდიტის საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხები არის ის საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს საკითხები განხილული იქნა ჩვენი მთლიანი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და მათზე ჩვენი აზრის ჩამოყალიბებისას და ჩვენ არ ვაძლევთ ცალკე მოსაზრებას ამ საკითხებზე. ჩვენ

გვსურს გავამახვილოთ ყურადღება იმ საკითხზე, რომელიც აღწერილია განყოფილებაში მატერიალური გაურკვევლობა, რომელიც დაკავშირებულია უწყვეტ საქმიანობასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს (ორგანიზაცია) ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს (ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგზანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების

დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ალექსანდრე
სხილაძე პარტნიორი
Crowe GE LLC
Member Crowe Global

აქსისის ბიზნეს ცენტრი
2, დ. გამრეკელის ქ,
0160 თბილისი, საქართველო

თარიღი: თებერვალი 9, 2026